

ტარაბურკა მოლდოვის წინააღმდეგ

CASE OF TARABURCA v. MOLDOVA

მესამე სექცია

ტარაგურკა მოლდოვის წინააღმდეგ

(განაცხადი № 18919/10)

გადაწყვეტილება

სტრასბურგი

2011 წლის 6 დეკემბერი

საბოლოო

06/03/2012

გადაწყვეტილება საბოლოო გახდა კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად. ის შეიძლება დაექვემდებაროს რედაქციულ გადასინჯვას.

საქმეზე ტარაბურკა მოლდოვის წინააღმდეგ,

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (მესამე სექცია) პალატამ
შემდეგი შემადგენლობით:

თავმჯდომარე:

ჟოზეფ კასადევალი,

მოსამართლეები:

კორნელიუ ბირსანი,

ალვინა გიულუმიანი,

იან სიკუტა,

ლუის ლოპეს გუერა,

ნონა ნონორია,

მიჰაი პოალელუნგი

და სექციის რეგისტრატორი - სანტიაგო კვესტადა,

მოითათბირა დახურულ კარს მიღმა 2011 წლის 15 ნოემბერს,

გამოიტანა და ამავე დღეს დაამტკიცა წინამდებარე გადაწყვეტილება:

პროცედურა

1. საქმეს საფუძვლად დაედო განაცხადი № 18919/10, რომელიც 2010 წლის 29 მარტს მოლდოვის რესპუბლიკის წინააღმდეგ სასამართლოში შეიტანა მოლდოვის მოქალაქემ ბ-ნმა ანდრეი ტარაბურკამ (შემდგომში „განმცხადებელი“), ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის (შემდგომში „კონვენცია“) 34-ე მუხლის შესაბამისად.

2. განმცხადებელს წარმოადგენდა ქ-ნი ო. დორონკაენუ, კომინევი მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციიდან - „მოლდოვის ინსტიტუტი ადამიანის უფლებებისათვის“. მოლდოვის მთავრობის (შემდგომში „მთავრობა“) ინტერესებს იცავდა სახელმწიფო წარმომადგენელი ბ-ნი ვ. გროსუ.

3. განმცხადებელი სახელდობრ ამტკიცებდა, რომ მას არასათანადოდ მოეპყრა პოლიცია, ხოლო გამოძიება ამ არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით მის საჩივარზე იყო არაეფექტიანი.

4. 2010 წლის 5 ივლისს სასამართლომ გადაწყვიტა აღნიშნული განაცხადის შესახებ ეცნობებინა მთავრობისათვის. ასევე გადაწყდა, რომ სასამართლო ერთდროულად იმსჯელებდა განაცხადის დასაშვებობის საკითხსა და არსებით მხარეებზე (მუხლი 29, პუნქტი 1).

ფაქტები

I. საქმის ბარემოებები

5. განმცხადებელი დაიბადა 1988 წელს და ცხოვრობს ქ. კიშინიოვში.

6. მხარეთა წარმოდგენილი საქმის ფაქტები შეიძლება შემდეგნაირად დაჯამდეს:

A. საქმის ზოგადი პრეისტორია

7. 2009 წლის 5 აპრილს მოლდოვაში გაიმართა საყოველთაო არჩევნები. ამ კენჭისყრის წინასწარი შედეგები გამოცხადდა 2009 წლის 6 აპრილს. მათ თანახმად, მოლდოვის მმართველმა კომუნისტურმა პარტიამ მცირე უპირატესობით გაიმარჯვა ხსენებულ არჩევნებში.

8. 2009 წლის 6 აპრილს კენჭისყრის შედეგებითა და არჩევნების გაყალბების ეჭვით გამოწვეული მზარდი უკმაყოფილება იგრძნობოდა მთლიანობაში და სახელდობრ, სხვადასხვა ონლაინ ფორუმებზე. 18:00 საათისთვის, რამდენიმე ასეული ადამიანი, ძირითადად, ახალგაზრდა, შეიკრიბა კიშინიოვის ცენტრში, შტეფან დიდის (Ștefan cel Mare) ძეგლის წინ. უკვე ნახევარ საათში კი, ხალხის რაოდენობა გაიზარდა 3-4 000 ადამიანამდე. თავდაპირველად პრეზიდენტის სასახლისა და პარლამენტის შენობების წინ, ხოლო შემდეგ ისევ დიდი ეროვნული

ასამბლეის მოედანზე ისინი აპროტესტებდნენ სავარაუდოდ გაყალბებულ არჩევნებს. მოგვიანებით გამოცხადდა, რომ უფრო მასშტაბური გამოსვლა გაიმართებოდა მომდევნო დღის 10:00 საათზე.

9. 2009 წლის 7 აპრილს საპროტესტო აქცია განახლდა, დაახლოებით, 5-6000 ადამიანის მონაწილეობით. თავიდან გამოსვლა მშვიდობიან ხასიათს ატარებდა, თანდათანობით კი მისმა რამდენიმე ასეულმა მონაწილემ ხელი მიჰყო ძალადობრივ ქმედებებს. მოგვიანებით შეიქმნა პარლამენტის საგამოძიებო კომისია („კომისია“), რომელსაც დაევალა გამოეკვლია 2009 წლის 5 აპრილს მოლდოვაში ჩატარებული საყოველთაო არჩევნების შემდგომ განვითარებული მოვლენების მიზეზები და შედეგები. კომისიამ დაასკვნა, რომ სახანძრო მანქანითა და სპეციალური დანიშნულების პოლიციის დანაყოფების ძალზე ცუდად დაგეგმილმა ორმა შეტაკებამ მიიყვანა ხალხის მასა იმ ზღვრამდე, რომლის მიღმაც შეუძლებელი ხდებოდა მასობრივი ძალადობის აქტების აღკვეთა. დაუნდობელი შეტაკებებისა და ქვების სროლის შემდეგ, რასაც პოლიციის უსუსური წინააღმდეგობა შეხვდა, 250-მდე აგრესიულმა მომიტინგემ საბოლოო ჯამში შეძლო პრეზიდენტის სასახლისა და პარლამენტის შენობათა ქვედა სართულების დაკავება. მათ გაძარცვეს ეს შენობები და აღმოებუილი დატოვეს პრეზიდენტის სასახლის სასაფლაო. ლამის განმავლობაში რამდენჯერმე იფეთქა ცეცხლმა პარლამენტის შენობაშიც. რიგ შემთხვევაში ეს მოხდა მას შემდეგ, რაც 23:00 საათისთვის სართულებზე სრული კონტროლი აღადგინა ხელისუფლებამ.

10. 2009 წლის 8 აპრილს, დაახლოებით ლამის პირველ საათზე, სხვადასხვა საპოლიციო და საგანგებო დანაყოფებმა წამოიწყეს ფართომასშტაბიანი ოპერაცია საზოგადოებრივი წესრიგის აღსადგენად. კომისიამ აღნიშნა, რომ გამოიყენეს გადაჭარბებული ძალა და ცენტრალურ მოედანზე დარჩენილები დააპატიმრეს განურჩევლად იმისა, იღებდნენ ისინი ძალადობაში მონაწილეობას თუ არა. დაპატიმრებები გაგრძელდა მომდევნო რამდენიმე დღეც. მედია საშუალებებმა აღწერა შემთხვევები და აჩვენა ვიდეო მასალა, სადაც 8 აპრილს ფორმირებული პოლიციელები და სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული ოფიცრები აპატიმრებდნენ და/ან სცემდნენ ახალგაზრდა მომიტინგეებს ქალაქის ცენტრში, მას შემდეგაც კი, რაც საპროტესტო აქციები უკვე დიდი ხნის დასრულებული იყო 2009 წლის 7 აპრილის საღამოსთვის.

B. განმცხადებლის დაპატიმრება და სავარაუდო არასათანადო მოპყრობა

11. განმცხადებლის თანახმად, 2009 წლის 7 აპრილს იგი თავის მეგობარ S.-თან ერთად გაემართა კიშინიოვის ცენტრში საპროტესტო აქციის სანახავად.

12. მას შემდეგ, რაც გარკვეული დრო მშვიდობიანად დაჰყვეს საპროტესტო აქციაზე, მათ გააჩერეს ტაქსი სახლში დასაბრუნებლად. ამ დროს, სამმა სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმულმა პოლიციელმა, ვინაობის დასახელების გარეშე, აიძულეს ისინი ტაქსიში ჩამსხდარიყვნენ. ოფიცრებმა უბრძანეს ტაქსის მძღოლს, გეზი აეღო ბოტანიკას პოლიციის განყოფილებისკენ. განმცხადებელი და S. მიიყვანეს პოლიციის განყოფილებაში და გამოკეტეს ცივ, უსაწოლო და დღის შუქს მოკლებულ საკანში.

13. 2009 წლის 8 აპრილს, დაახლოებით 01:00 საათზე, საკანში შემოვიდა ოფიცერი პოლიციის ფორმაში. მან, იმ სამი ოფიცრის თანხლებით, ვინც დაკავებაში მიიღო მონაწილეობა, დაიწყო განმცხადებლისა და S.-ის ცემა. განმცხადებელმა დაკარგა გონი, ხოლო როცა გამოფხიზლდა, ცხვირიდან და ზედა ტუჩიდან

სდიოდა სისხლი. მისთვის არანაირი სამედიცინო დახმარება არ აღმოუჩენიათ.

14. განმცხადებლის დაკავების ოქმის თანახმად, იგი დააკავეს 2009 წლის 8 აპრილს 02:00 საათზე. ოქმში მითითებული მიზეზის თანახმად, იგი დაიჭირეს „დანაშაულის ჩადენის მომენტში და საგამოძიებო ორგანოებს აქვთ ეჭვი, რომ იგი შეიძლება მიიმალოს“. არანაირი სხვა განმარტება მოცემული არ იყო.

15. 2009 წლის 8 აპრილს განმცხადებელი გადაიყვანეს გენერალური პოლიციის დირექტორატის (შემდგომში „GPD“) დროებითი მოთავსების იზოლატორში, რომლის ზომაც იყო 5X4 მ. იგი მოათავსეს სხვა ათ დაკავებულ პირთან ერთად. იქ მან მიიღო უგემური საკვების მიზერული ულუფა და უარი ეთქვა წყალზე. საკანში ვერ აღწევდა დღის შუქი და არ ნიავედებოდა. მთავრობის თანახმად, 2009 წლის 8 აპრილს განმცხადებელი გასინჯა საპატიმროს ექიმმა. არასათანადო მოპყრობის არანაირი კვალი არ დაფიქსირებულა.

16. 2009 წლის 10 აპრილს ბუიუკანის საქალაქო სასამართლოს გამომძიებელმა მოსამართლე M.D.-მ მიიღო პროკურორის მოთხოვნა, დაედგინა განმცხადებლისთვის 30 დღიანი წინასწარი პატიმრობა. მოსმენა გაიმართა GPD-ს შენობაში. იმავე ღამით, განმცხადებელი გადაიყვანეს №13 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში. მისი განცხადებით, ციხისკენ მიმავალი იგი აიძულეს გაეელო ე.წ. „სიკვდილის კორიდორი“, შემდგარი პოლიციის ოფიცრებისგან, რომლებიც მოახლოებისთანავე ურტყამდნენ მას.

17. 2009 წლის 16 აპრილს კიშინიოვის სააპელაციო სასამართლომ გააუქმა გამომძიებელი მოსამართლის 2009 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილება და ბრძანა განმცხადებლის გათავისუფლება.

18. მთავრობის თანახმად, განმცხადებელს არ მოპყრობიან არასათანადოდ არც დროებითი მოთავსების იზოლატორში და არც სხვა დაწესებულებებში გადაყვანის დროს. მიუხედავად იმისა, რომ მას ჰყავდა ადვოკატი, განმცხადებელს არ დაუჩივლია არასათანადო მოპყრობის შესახებ. მან ეს მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ გააკეთა.

C. გამოძიება არასათანადო მოპყრობის შესახებ განმცხადებლის საჩივრების საფუძველზე

19. 2009 წლის 14 აპრილს განმცხადებელმა მიმართა ბოტანიკას პროკურატურას საჩივრით არასათანადო მოპყრობაზე. 2009 წლის 15 მაისს მან ასეთივე საჩივარი შეიტანა სამხედრო პროკურატურაშიც და დანვრილებით აღწერა მის მიმართ განხორციელებული არასათანადო მოპყრობის ფაქტები და დაკავების პირობები. იგი დაეყრდნო კონვენციის მე-3 და მე-5 მუხლებს და აღნიშნა, რომ მას არანაირი პასუხი არ მიუღია 2009 წლის 14 აპრილს შეტანილ საჩივარზე. მის 2009 წლის 14 აპრილის საჩივარზე დასმული ბეჭდები მონშობს, რომ საქმე სამხედრო პროკურატურაში მიიღეს 2009 წლის 21 აპრილს.

20. ასევე, 2009 წლის 14 აპრილს განმცხადებელი გასინჯა ექიმმა, რომელმაც მის სახეზე აღმოაჩინა სისხლჩაქცევა თანმდევი კანის გაუხეშებით. აგრეთვე, შეინიშნებოდა ჩალურჯება და ამით გამოწვეული სისხლჩაქცევა მისი ზედა ტუჩის მარჯვენა მხარეს. ყოველივე ეს ჩაითვალა მისი ჯანმრთელობისათვის არასახიფათო დაზიანებად. განმცხადებლის თანახმად, მისთვის არავის უთხოვია ტანსაცმლის გახდა, რის გამოც ექიმმა ვერ შეძლო სხვა დაზიანებათა დადგენა, სახელდობრ, მის ზურგზე.

21. 2009 წლის 30 აპრილით დათარიღებულ მოხსენებაში სამხედრო პროკურორმა, რომელიც განიხილავდა განმცხადებლის საჩივარს, აღნიშნა, რომ გაკეთდა რამდენიმე მიმართვა შინაგან საქმეთა სამინისტროსადმი (მიმართვის ხასიათის დაზუსტების გარეშე), რასაც არავითარი გამოხმაურება არ მოჰყოლია. ამგვარი მასალების უქონლობის პირობებში შეუძლებელია შემდგომი ნაბიჯების გადადგმა. შესაბამისად, საქმის დასასრულებლად პროკურორმა მოითხოვა დამატებითი დრო 2009 წლის 15 მაისამდე. თხოვნა დაკმაყოფილდა.

22. 2009 წლის 15 მაისს იმავე პროკურორმა აღნიშნა, რომ 2009 წლის 5 მაისს შინაგან საქმეთა სამინისტროს ეთხოვა ჩაეტარებინა შიდა გამოძიება, რათა დაედგინა იმ ოფიცერთა ვინაობა, ვინც ჩაიდინა სავარაუდო არასათანადო მოპყრობა. გამომდინარე იქიდან, რომ ბოტანიკას პოლიციის განყოფილების ვერც ერთი ოფიცრის დაკითხვა ვერ მოხერხდა, საქმის დასასრულებლად პროკურორმა მოითხოვა დამატებითი დრო 2009 წლის 29 მაისამდე. თხოვნა დაკმაყოფილდა.

23. 2009 წლის 29 მაისს იმავე პროკურორმა აღნიშნა, რომ საქმის გარემოებათა დადგენის მიზნით, განისაზღვრა სამოქმედო გეგმა. დაიკითხა განმცხადებელი და მისი მეგობარი S. თუმცა, ოფიცრები, რომლებიც 2009 წლის 8 აპრილს მორიგეობდნენ ბოტანიკას პოლიციის განყოფილებაში, კვლავაც რჩებოდნენ დასაკითხ პირთა სიაში. ამ ვითარებაში საქმის დასასრულებლად პროკურორმა მოითხოვა დამატებითი დრო 2009 წლის 12 ივნისამდე. თხოვნა დაკმაყოფილდა.

24. 2009 წლის 12 ივნისს სამხედრო პროკურორმა გადაწყვიტა, არ დაეწყო სისხლის სამართლის გამოძიება განმცხადებლის საჩივარზე არასათანადო მოპყრობის შესახებ. მან აღნიშნა, რომ S.-მა არ დაადასტურა არც მისდამი არასათანადო მოპყრობა, არც ის, რომ თავად იხილა განმცხადებლის მიმართ განხორციელებული ამგვარი ქმედება. პოლიციის ყველა ოფიცერმა უარყო რაიმე სახის არამართლზომიერი ქმედება, ხოლო მორიგე ოფიცერმა უარყო ის ფაქტი, რომ ვინმე შევიდა განმცხადებლის საკანში 2009 წლის 7 აპრილის ღამეს. ამ ოფიცერს არ შეუძენია არავითარი დაზიანება განმცხადებლის სხეულზე, როდესაც ეს უკანასკნელი დაბრუნდა გამოძიებლებისგან დაკითხვიდან 2009 წლის 7 აპრილს მასობრივ უნესრიგობებში მისი სავარაუდო მონაწილეობის შესახებ. სამმა ოფიცერმა, რომელთაც დააკავეს განმცხადებელი (R.P, E.G და V.T.) დასძინეს, რომ იგი და S.-ი მიიყვანეს ბოტანიკას პოლიციის განყოფილებაში და შემდეგ დაბრუნდნენ კიშინიოვის ცენტრში, სადაც 2009 წლის 8 აპრილის 07:00 საათამდე იცავდნენ სამთავრობო შენობებს. ისინი არ დაბრუნებულან პოლიციის განყოფილებაში და არ შესულან არანაირ საკანში. მეტიც, 2009 წლის 8 აპრილით დათარიღებულ ოქმში განმცხადებლის სამედიცინო შემოწმების შესახებ ნათქვამია, რომ არავითარი დაზიანება განმცხადებლის სხეულზე არ შეინიშნებოდა. პროკურორმა მიიჩნია, რომ დაზიანებები განმცხადებელს სახეზე შესაძლოა გასჩენოდა კიშინიოვის ცენტრში მიმდინარე არეულობაში მონაწილეობისას.

25. 2009 წლის 16 ივლისით დათარიღებულ წერილში სამხედრო პროკურატურამ აცნობა განმცხადებელს 2009 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილების შესახებ.

26. 2009 წლის 20 აგვისტოს პროკურორის გადაწყვეტილებით უკმაყოფილო განმცხადებელმა საჩივრით მიმართა სამხედრო პროკურატურას. მან აღნიშნა, რომ იგი იმყოფებოდა საპოლიციო პატიმრობაში 2009 წლის 7-დან 16 აპრილის ჩათვლით და დაზიანებებიც ამ პერიოდში მიიღო. მეტიც, დაპატიმრების მომენტში არც ერთ მის დამკავებელ ოფიცერს არ აღუნიშნავს რაიმე სახის დაზიანებები მის სხეულზე. მან მიუთითა 2009 წლის 8 და 14 აპრილის ორ სამედიცინო

დასკვნას შორის შეუსაბამობაზე და კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა 2009 წლის 8 აპრილს ჩატარებული შემოწმების ოქმის შემდგენი ექიმის პროფესიონალიზმი და დამოუკიდებლობა. მან აგრეთვე დასძინა, რომ S.-ი იყო პოლიციის ყოფილი ოფიცერი და შესაძლოა ჩვენებაც მისცა მისი ყოფილი კოლეგების სასარგებლოდ, ან სოლიდარობის ნიშნად, ანაც დაშინების შედეგად. განმცხადებელმა მოიშველია საკუთარი განაცხადი, სადაც აღნიშნავდა, რომ მას შეეძლო ამოეცნო პირები, რომელთაც განახორციელეს არასათანადო მოპყრობა, თუმცა, ამოცნობის არანაირი პროცედურა არ შემდგარა მისი ნათქვამის დასადასტურებლად.

27. 2009 წლის 21 აგვისტოს სამხედრო პროკურატურამ უარყო განმცხადებლის საჩივარი, როგორც დაუსაბუთებელი. პროკურორმა მოიშველია S.-ის ჩვენება, რომ მას არ უნახავს არანაირი არასათანადო მოპყრობის გამოვლინება.

28. 2009 წლის 10 სექტემბერს განმცხადებელმა ბუიუკანის საქალაქო სასამართლოში იჩივლა გადაწყვეტილების გამო, რომლის თანახმადაც არ უნდა დაწყებულიყო სისხლის სამართალწარმოება. იგი მიიჩნევდა, რომ გამოძიება გაინელა - მისი 2009 წლის 14 აპრილის საჩივარი სამხედრო პროკურატურაში შევიდა მხოლოდ ერთი კვირის დაგვიანებით. არ მიიღო რა არანაირი პასუხი თავის საჩივარზე, მან ხელმეორედ იჩივლა 2009 წლის 15 მაისს. გადაწყვეტილება, არ დაწყებულიყო სისხლის სამართალწარმოება მიიღეს მხოლოდ 2009 წლის 12 ივნისს - პირველი საჩივრის წარდგენიდან ორი თვის შემდეგ. ამ გადაწყვეტილების შესახებ კი განმცხადებელს აცნობეს გადაწყვეტილების მიღებიდან კიდევ ერთი თვის შემდეგ. განმცხადებელმა გაიმეორა 2009 წლის 20 აგვისტოს საჩივრის არგუმენტები და დასძინა, რომ პროკურატურას არ მოუთხოვია რაიმე დამატებითი სამედიცინო შემოწმება, რათა გაექარწყლებინა ეჭვები 2009 წლის 8 და 14 აპრილის სამედიცინო დასკვნებს შორის შეუსაბამობაზე. განმცხადებელმა ასევე აღნიშნა, რომ გადიოდა რიგ სერიოზულ სამედიცინო გამოკვლევებს, რამაც ასევე შეიძლება დაამტკიცოს არასათანადო მოპყრობის კვალი.

29. 2009 წლის 21 სექტემბერს წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის მემორიალურმა ცენტრმა (Memoria Rehabilitation Centre for Torture Victims) - არასამთავრობო ორგანიზაციამ, რომელიც ფინანსდება ევროკავშირისგან და ამავდროულად არის წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის საერთაშორისო საბჭოს გენერალური ასამბლეის (General Assembly of the International Rehabilitation Council for Torture Victims - IRCT) წევრი, გამოაქვეყნა ამონარიდი სამედიცინო ცნობიდან (Extras din Fișa Medicală), რომელიც ეხებოდა განმცხადებლის სამედიცინო დათვალიერებას 2009 წლის 22 აპრილიდან 1 ივნისის ჩათვლით. როგორც ირკვევა, მას გაუვლია რიგი სერიოზული გამოკვლევებისა მედიცინის სხვადასხვა სპეციალისტთან. დოკუმენტის თანახმად, განმცხადებელს, ყველაფერთან ერთად, აწუხებდა თავი-ქალას ტრავმა შიდაქალის მაღალი წნევის სინდრომითა და პოსტ-ტრავმატული სტრესული დისფუნქციით, რამაც მასზე იქონია, როგორც ფიზიკური, ასევე ფსიქოლოგიური გავლენა. დოკუმენტი გადაეცა ბუიუკანის საქალაქო სასამართლოს.

30. 2009 წლის 29 სექტემბერს ბუიუკანის საქალაქო სასამართლომ უარი განაცხადა განმცხადებლის საჩივარზე, როგორც დაუსაბუთებელზე. სასამართლომ დაადგინა, რომ პროკურორმა დაკითხა საქმეში ჩართული ყველა პირი და დასძინა, რომ S.-მა არ დაადასტურა განმცხადებლის პრეტენზიები. პროკურორის გადაწყვეტილებები სრულ თანხმობაშია კანონთან და არ არსებობს მიზეზი იმისათვის, რომ გაუქმდეს მიღებული გადაწყვეტილებები.

31. 2010 წლის 12 იანვარს მაგისტრატა უზენაესმა საბჭომ („საბჭო“) უარი თქვა ბუიუკანის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის M.D.-სთვის მოვალეობების გაგრძელებაზე, რის შედეგადაც მოლდოვის რესპუბლიკის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა იგი გაათავისუფლა მოსამართლის თანამდებობიდან. საბჭოს ამგვარი გადაწყვეტილების მიზეზად გამოდგა ის, რომ მრავალი საქმე 2009 წლის 7 აპრილის მოვლენებთან დაკავშირებით მოსამართლემ განიხილა ან სასამართლო დარბაზს მიღმა და/ან პოლიციის გენერალური დირექტორატის შენობაში, რაც არის „კონსტიტუციისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის უხეში დარღვევა“.

32. 2010 წლის 4 თებერვალს, ჩადენილი დანაშაულის მტკიცებულებათა არარსებობის გამო სისხლის სამართლის საქმე განმცხადებლის წინააღმდეგ, რომ მან ჩაიდინა დანაშაული, შეწყდა.

II. შესაბამისი მოხსენებები

33. 2009 წლის 25-დან 28 აპრილის ჩათვლით მოლდოვაში ვიზიტის შემდგომ ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისრის, თომას ჰამარბერგის მოხსენების შესაბამის ნაწილში ნათქვამია:

„...“

კომისარი თომას ჰამარბერგი და მისი დელეგაცია ეწვია მოლდოვას 2009 წლის 6-7 აპრილს არჩევნების გამო დაწყებული დემონსტრაციებიდან კვირანახეურის თავზე. კომისრის ყურადღების ცენტრში მოექცა მოვლენებთან დაკავშირებით დაკავებულ პირთა მიმართ მოპყრობის კონკრეტული საკითხი.

კომისრის დელეგაციის მიერ გამოკითხულ პირთა უმეტესობა, ვინც დააპატიმრეს 2009 წლის აპრილში პოსტსაარჩევნო დემონსტრაციებთან კავშირის გამო, აცხადებდნენ, რომ პოლიციის ოფიცრებმა ისინი სცემეს - ზოგიერთი ძალზე სერიოზულად. რიგ შემთხვევებში, კომისრის თანმხლებმა მედიცინის ექსპერტმა პირდაპირ დააფიქსირა ამ პრეტენზიებთან თავსებად ფიზიკურ დაზიანებათა ნიშნები. მეტიც, სამედიცინო ანკეტები მონახულებულ დაწესებულებებში მოიცავდა ცნობებს დაზიანებებზე, რომლებიც ემთხვეოდა პირთა ჩვენებებს.

...

მოლდოვის ხელისუფლების წარმომადგენლებმა აღიარეს, რომ პოლიციამ გააძაქარბა თავის უფლებამოსილებას საპროტესტო აქციების დროს დაკავებულ პირთა მიმართ, და გაახმოვანეს თავიანთი გადაწყვეტილება, ბოლო მოუღონ არასათანადო მოპყრობას პოლიციის მხრიდან. კომისარმა მკაცრად გაუსვა ხაზი იმას, რომ არასათანადო მოპყრობისგან დაცულობის ძირითადი უფლების ესოდენ ფართომასშტაბიანი დარღვევა არასოდეს უნდა გამეორდეს, და რომ აუცილებელია ქმედითი ზომების მიღება, რათა დადგეს პასუხისმგებლობის საკითხი, როდესაც გამოაშკარავდება არასათანადო მოპყრობის ცალკეული საკითხები ...

... 10. შინაგან საქმეთა მინისტრმა ამცნო კომისარს, რომ 2009 წლის 6-7 აპრილის დემონსტრაციების დროს, სისხლის სამართლის დანაშაულის ბრალდებით დააკავეს 106 პირი. აქედან ცხრა პირი კვლავ რჩება პატიმრობაში იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარების ქვეშ მყოფ №13 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში,

მოყოლებული 2009 წლის 28 აპრილიდან. მეტიც, 216 პირი, მათ შორის, ათი ახალგაზრდა ქალი, დააპატიმრეს ადმინისტრაციული ბრალდებებით, რომლებიც ეხება განსახილველ გარემოებებს. ყველა მათგანი უკვე გათავისუფლებული იყო კომისრის ვიზიტის დროისათვის.

11. კომისრის ხელთ არსებული ინფორმაციით, დემონსტრაციების დროს დაკავებული პირები მოათავსეს კიშინიოვში მდებარე შემდეგ საპოლიციო დაწესებულებებში: პოლიციის გენერალური დირექტორატის, ან ცენტრუს (ცენტრი), ბოტანიკას, ჩიოკანას, რიშკანისა და ბუიუკანის საუბნო პოლიციის განყოფილებებში. საუბნო პოლიციის განყოფილებაში თავდაპირველად მოთავსებული პირები მოგვიანებით გადაიყვანეს პოლიციის გენერალურ დირექტორატში.

12. კომისარს არ მიუღია საჩივრები არასათანადო მოპყრობაზე №13 სასჯელალსრულების დაწესებულებაში. მიუხედავად ამისა, კომისრის დელეგაციის მიერ გამოკითხულ პირთა უმრავლესობამ, ვინც დააპატიმრეს 2009 წლის აპრილის არჩევნების საწინააღმდეგო დემონსტრაციებთან კავშირის გამო, განაცხადა, რომ გახდნენ პოლიციის ოფიცერთა მხრიდან ფიზიკური არასათანადო მოპყრობის მსხვერპლნი. უმეტეს შემთხვევებში, სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ობიექტები ძირითადად იყვნენ შედარებით ახალგაზრდა (25 წლის ქვემოთ) პირები. როგორც თავად გენერალურმა პროკურორმა აღნიშნა, პრეტენზიები არასათანადო მოპყრობაზე მეტწილად უკავშირდება სამ განსხვავებულ ვითარებას: 1) დაკავების დროს; 2) დროებითი მოთავსების იზოლატორებში გადაყვანისას; და 3) არასათანადო მოპყრობა დროებითი მოთავსების იზოლატორებში, აღიარების მიზნით დაკითხვების ჩათვლით¹.

13. სავარაუდო არასათანადო მოპყრობისას გამოიყენებოდა მუშტით ცემა, ხელის კვრა და დარტყმა რეზინის ხელკეტებით, ხის ჯოხებით, ცეცხლსასროლი იარაღის კონდახებით, ან სხვა ბლაგვი და მყარი საგნებით. რიგმა პირებმა აღნიშნეს, რომ არასათანადო მოპყრობა ატარებდა საკმაოდ დაუნდობელ ან განგრძობით ხასიათს, რასაც შეეძლო გამოეწვია გონების ერთხელ მაინც დაკარგვა, და/ან დასრულებულიყო მოტეხილობით, ან მუდმივი ნერვული სტრესით. ამასთან, მრავალმა პირმა განაცხადა, რომ მათ დაემუქრნენ ფიზიკური გასწორებით ან ანგარიშსწორებით სასამართლოს გარეშე, შეურაცხყვეს ვერბალურად, და/ან დამამცირებლად ეპყრობოდნენ....

14. იუსტიციის მინისტრის თანახმად, დაკავებიდან გარკვეული პერიოდის შემდეგ №13 სასჯელალსრულების დაწესებულებაში მოთავსებული 111 პირიდან 28-ს აღმოაჩნდა სხვადასხვა დონის დაზიანებები. შინაგან საქმეთა მინისტრმა ამცნო კომისარს, რომ 2009 წლის 28 აპრილიდან განიხილეს არასათანადო მოპყრობაზე შემოსული 54 საჩივარი. გენერალურმა პროკურორმა განაცხადა, რომ მისმა სამსახურმა ზემოხსენებული დღიდან მიიღო 37 საჩივარი, ხოლო 30 საქმეზე აღიძრა ოფიციალური მოკვლევა. ამასთან, დაიწყო ერთი სისხლისსამართლებრივი დევნა.

15. რიგ შემთხვევებში, კომისრის თანმხლებმა მედიცინის ექსპერტმა პირდაპირ დააფიქსირა პრეტენზიებთან თავსებად ფიზიკურ დაზიანებათა ნიშნები, მაშინაც, როდესაც სავარაუდო არასათანადო მოპყრობიდან უკვე ორ კვირაზე მეტმა გან-

1. არასამთავრობო ორგანიზაციების [ადამიანის უფლებათა ინსტიტუტი (IDOM) და ადამიანის უფლებათა რესურს-ცენტრი (CReDO), რომლებიც არიან OPCAT-ის ეგიდით მოქმედი ეროვნული საპრევენციო მექანიზმის წევრები] თანახმად, 2009 წლის აპრილის დემონსტრაციების შედეგად დაკავებულთა 81% აცხადებს, რომ ისინი სცემეს დაკავების დროს, ხოლო 64% ამტკიცებს, რომ სცემეს და შეურაცხყვეს საპოლიციო პატიმრობის დროს.

ვლო. მეტიც, კომისიის მედიცინის ექსპერტის მიერ შესწავლილი ანკეტები მოიცავდა ცნობებს დაზიანებებზე, რომლებიც ემთხვეოდა საპოლიციო პატიმრობაში მყოფი პირების ჩვენებებს ფიზიკური არასათანადო მოპყრობის შესახებ. მაგალითისთვის, აღმოჩნდა, რომ კიშინიოვის სასწრაფო დახმარების ჰოსპიტალში 115 პირს გაეწია სამედიცინო დახმარება შესაბამისი დროის მონაკვეთში პოლიციისგან მიყენებულ დაზიანებათა გამოისობით. ამათგან 24 საჭიროებდა ჰოსპიტალიზაციას მძიმე დაზიანებათა გამო, როგორიცაა ტვინის შერყევა, თირკმელების ტრავმა, კიდურების ან მხრების მოტეხილობები, და/ან კანის მრავალჯერადი დაზიანებები....

22. ციხისა და ჰოსპიტალის სამედიცინო ჩანაწერებისგან განსხვავებით, კომისიის მედიცინის ექსპერტმა აღნიშნა, რომ კიშინიოვის პოლიციის გენერალური დირექტორატის დაკავების დაწესებულებებში არსებული ჩანაწერები დაზიანებებზე მეტად ზედაპირული და არასრულია. ამ ფაქტის განმარტებისას ითქვა, რომ იმ დაწესებულებაში დაქირავებული ფელდშერი (სამედიცინო მუშაკი) არ ყოფილა პროფესიით სასამართლო ექიმი. საპოლიციო დაწესებულებებში ჩანაწერების სიმწირე უკვე აღინიშნა წამების საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტის (CPT) ანგარიშში, რომელიც ეხება კომიტეტის მიერ 2007 წელს მოლდოვაში განხორციელებულ ვიზიტს. კომიტეტმა წარმოადგინა დეტალური რეკომენდაცია იმის შესახებ, რომ პოლიციის განყოფილებაში მოხვედრიდან 24 საათის განმავლობაში უნდა შემოწმდეს, აღინიშნება თუ არა პირს დაზიანებები, თან პოლიციის ოფიცერთა დაუხსრებლად. სავალდებულოა, რომ დაწვრილებით აღინუსხოს ნებისმიერი დაზიანება. თუკი ჩანაწერები დაზიანებებზე ემთხვევა პრეტენზიებს არასათანადო მოპყრობაზე, მაშინ ამ ფაქტებზე დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს სათანადო პროკურორს და გაიცეს ბრძანება, რომ შემოწმება ჩაატარდოს აღიარებულმა სასამართლო სამედიცინო ექსპერტმა. არასათანადო მოპყრობის თავიდან ასაცილებლად, კომისარი დაჟინებით მოუწოდებს მოლდოვის ხელისუფლებას, CPT-ს რეკომენდაციების გათვალისწინებით, უზრუნველყოს დაკავებულთა სათანადო შემოწმება, დაზიანებათა აღნუსხვა და შეტყობინება.

... 24. ... წამების საწინააღმდეგო საკონსულტაციო საბჭოს წარმომადგენლებს (გაერო-ს OPCAT-ის ფარგლებში მოქმედი ეროვნული პრევენციული მექანიზმი) 2009 წლის 11 აპრილს ხელი შეუშალეს კიშინიოვის რიგ პოლიციის დაწესებულებათა მონახულებაში, პოლიციის გენერალური დირექტორატის და ცენტრუს საოლქო პოლიციის განყოფილების ჩათვლით, სადაც ხსენებული პირები იმყოფებოდნენ.

25. კომისარმა მიიღო მრავალი საჩივარი ფართომასშტაბიანი დაპატიმრებების შემდგომ პოლიციის დაწესებულებებში არსებულ პატიმრობის პირობებზე; საჩივართა უმრავლესობა ეხებოდა გადატვირთულ საკნებს, ცუდ ჰიგიენურ ნორმებს, განათებას, ვენტილაციას, სათანადო საკვებით უზრუნველყოფას, სუფთა თეთრეულის არარსებობას, პირადი ჰიგიენისა და სანიტარული საგნების უკმარისობას. როგორც უკვე აღინიშნა, კომისარმა მოინახულა საპოლიციო პატიმრობის მხოლოდ ერთი დაწესებულება, ე.ი. კიშინიოვში განლაგებული პოლიციის გენერალური დირექტორატი. კომისარმა აღმოაჩინა, რომ საკნებში იყო მეტად ცუდი მატერიალური პირობები, სუსტი განათება და მოუწესრიგებელი სავენტილაციო სისტემა; ზოგადად, ხსენებული პირობები შეესაბამებოდა ამ საკნებში დაკავებულ პირთა მიერ მოწოდებულ აღწერილობას. რაც შეეხება საკნების გადატვირთულობას, ეს დადასტურა თავად საპატიმროს პერსონალმა, აღნიშნა რა, რომ დაკავების დღეებში პატიმართა რიცხვმა გადააჭარბა დაწესებულების ტევადობას.

... 39. კომისარი წუხს, რომ 300 პირზე მეტი - ნაწილობრივ არასრულწლოვნები

- რომლებიც დააპატიმრეს პროტესტის მსვლელობისას ან მომდევნო პერიოდში, აღმოჩნდა პოლიციის მხრიდან განხორციელებული არასათანადო, ზოგიერთი კი, დაუნდობელი მოპყრობის მსხვერპლი.

... 45. კომისიის ოფიციალურმა საკონტაქტო პირებმა აღიარეს, რომ პოლიციამ არამართლზომიერად გამოიყენა ძალაუფლება პროტესტების დროს, როდესაც საქმე შეეხო თავისუფლებადაცვეთილი პირების მოპყრობას. კომისარმა მკაცრად გაუსვა ხაზი იმას, რომ არასოდეს უნდა გამეორდეს ადამიანის ფუნდამენტური უფლების - იყოს დაცული არასათანადო მოპყრობისგან - ესოდენ ფართომასშტაბიანი დარღვევა, და აუცილებელია ქმედითი ზომების მიღება, რათა დადგეს პასუხისმგებლობის საკითხი, როდესაც გამოაშკარავდება არასათანადო მოპყრობის ინდივიდუალური შემთხვევები.

46. გენერალურმა პროკურორმა დასძინა, რომ იგი გამოიძიებდა მის სახელზე მისულ ყველა საჩივარს. ასევე თავად გამოიჩინა ინიციატივას და დაინტერესდებოდა, თუნდაც საჩივრის არარსებობის შემთხვევაში, იმ ფაქტებით, რომლებიც მიანიშნებდა არასათანადო მოპყრობაზე. მისი თქმით, პროცესში ჩაერთვნენ საგანგებო პროკურორები, ვისაც არ ჰქონდა სამსახურებრივი შეხება პოლიციის იმ დეპარტამენტებთან, რომლებიც ჩართულნი იყვნენ ამ მოვლენებში და იხილავდნენ ამ საქმეებს”.

34. წამების და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტის (CPT) 2009 წლის 27-31 ივლისის მოლდოვაში ვიზიტის შესახებ მოხსენების შესაბამის ნაწილში ნათქვამია:

„3. ვიზიტის მთავარი მიზანი იყო იმის შეფასება, თუ როგორ მიმდინარეობდა პოლიციის მხრიდან შესაძლო არასათანადო მოპყრობის საქმეთა გამოძიების პროცესი კომინიოვში 2009 წლის აპრილში პოსტსაარჩევნო პერიოდის კონტექსტში. ვიზიტის დროს კომიტეტს ასევე საშუალება მიეცა, გაცნობოდა პოლიციის მიერ დაკავებულ პირთა მიმართ მოპყრობის პირობებს.

2009 წლის აპრილის განმავლობაში, CPT-მ სხვადასხვა წყაროდან მიიღო ცნობები, რომელთა თანახმადაც 2009 წლის 5 აპრილის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ პოლიციამ დააპატიმრა ასობით პირი მას მერე, რაც კომინიოვში საპრეზიდენტო, საპარლამენტო და სამთავრობო შენობების წინ სამოქალაქო პროტესტების დროს თავი იჩინა ძალადობრივმა დაპირისპირებამ და შეტაკებებმა. სხენებული ცნობები ეხებოდა უხეში ფიზიკური არასათანადო მოპყრობის ფაქტებს დაკავებისას, ტრანსპორტირებისა და/ან შემდგომ საპოლიციო დაწესებულებებში პატიმრობისას. კომიტეტს აგრეთვე მიენოდა ინფორმაცია, რომელიც მიანიშნებდა, რომ რამდენიმე პირი გარდაიცვალა 2009 წლის 7-8 აპრილს პოლიციის მიერ განხორციელებული ქმედების შედეგად.

... 10. 2009 წლის ვიზიტისას დელეგაციამ დააფიქსირა, რომ პოლიციის დროებითი მოთავსების იზოლატორებში (izolatoare de detenție preventivă, abbreviated “IDP”) პირთა პატიმრობის პრაქტიკა უცვლელი რჩებოდა. 2007 წლის ვიზიტის შესახებ მოხსენებაში, CPT-მ მოუწოდა მოლდოვის ხელისუფლებას, რათა მას პირველადი მნიშვნელობა მიენიჭებინა გადაწყვეტილებისთვის, რომლის თანახმადაც წინასწარ პატიმრობაში მყოფ პირებზე პასუხისმგებლობა გადადიოდა იუსტიციის სამინისტროს კომპეტენციაში. საპასუხოდ, შინაგან საქმეთა სამინისტრომ აღნიშნა, რომ მისთვის მისაღებია ე.წ. IDP-ს დროებით გადაცემა იუსტიციის სამინისტროს განკარგულებაში, რომლის ძალაუფლებაც ასევე გავრცელდებოდა

წინასწარი პატიმრობის დანესებულებათა შენობებზეც. მიუხედავად ამისა, 2009 წლის ვიზიტის დასასრულს, იუსტიციის მინისტრმა განაცხადა, რომ სამინისტრო ვერ აიღებდა პასუხისმგებლობას IDP-ზე, რადგან ამ დანესებულებებში არსებული პატიმრობის პირობები არ შეესაბამებოდა მინიმალურ სტანდარტებსაც კი.

CPT იზიარებს მოსაზრებას, რომ IDP-ებს არ გააჩნიათ წინასწარ პატიმრობაში მყოფ პირთა განთავსებისთვის სათანადო პირობები. თუმცა, კომიტეტს მაინც სურს გაამახვილოს ყურადღება იმაზე, რომ არასათანადო მოპყრობის პრევენციის ინტერესებიდან გამომდინარე, უკეთესი იქნება დანაშაულში ეჭვმიტანილი პირის გადაცემა სასჯელალსრულებითი ორგანოსათვის, რომელიც ფუნქციურად და ინსტიტუციურად განსხვავდება პოლიციისგან. 2009 წლის დელეგაციის ვიზიტის შედეგები ადასტურებს მოსაზრებას, რომ აპრილის მოვლენათა დროს პოლიციის მხრიდან სავარაუდო არასათანადო მოპყრობა გამოაშკარავდა მას შემდეგ, რაც საქმესთან დაკავშირებული პირები გადაიყვანეს იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ დანესებულებებში ან გათავისუფლდნენ.

... 12. 2009 წლის ვიზიტისას CPT-ის დელეგაციას მიეწოდა საგრძნობლად დიდი რაოდენობის სარწმუნო და თავსებადი პრეტენზიები 2009 წლის აპრილის პოსტსაარჩევნო მოვლენების დროს პოლიციის მიერ გამოვლენილ არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე. გამოკითხულთაგან ბევრი იხსენებდა პოლიციის თანამშრომელთა ნათქვამს, რომ სავარაუდო არასათანადო მოპყრობა პასუხად მოჰყვა 7 აპრილს პოლიციის წინააღმდეგ გამოვლენილ ძალადობას.

... 14. ქალებისგან, მამაკაცებისა და არასრულწლოვნებისგან დელეგაციამ ასევე მოისმინა მრავალი ამბავი 8 აპრილს და/ან მომდევნო დღეებში პოლიციაში პატიმრობისას ფიზიკური არასათანადო მოპყრობის აქტებზე. იმ გამოკითხულთა უმრავლესობა, ვინც არ გაუთავისუფლებიათ დაკავებიდან მოკლე ხანში, ჩიოდა პირველადი ან მომდევნო დაკითხვების პერიოდში პოლიციის ოპერატიულ ოფიცერთა მხრიდან განმეორებით ან განგრძობით ცემაზე (მაგალითად, პოლიციელის ხელკეტით ან წყლით სავსე პლასტიკური ბოთლით). დელეგაციას აცნობეს აგრეთვე, რომ პოლიცია ხშირად ემუქრებოდა ადამიანებს პირველადი დაკითხვების ფიზიკური ანგარიშსწორებით (გაუპატიურების ჩათვლით) და მოკვლით. გამოკითხული პირები მიუთითებდნენ არა მხოლოდ რეპრესიული ხასიათის არასათანადო მოპყრობაზე, არამედ ამტკიცებდნენ, რომ ამის მიზანი იყო მათგან აღიარების გამოძალვა.

ბევრი გამოკითხული აცხადებდა, რომ პოლიციის შენობაში შესვლის ან გადაყვანის წინ მათ სცემდნენ ხელკეტებით და წიხლებით, ატარებდნენ ე.წ. პოლიციის „კორიდორში“.

ამავდროულად, დელეგაციამ მიიღო რამდენიმე პრეტენზია საპატიმროს პერსონალის მიერ ჩადენილ არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე (მაგ. ცემა) კიშინიოვის პოლიციის გენერალური დირექტორატის IDP-ში მიღებისას.

15. ზემოაღწერილ დარღვევათა უმეტესობას ადასტურებდა სასამართლო ექსპერტიზის ან სხვა სახის სამედიცინო მტკიცებულებები. ზოგიერთ შემთხვევაში, კომპეტენტურმა საგამოძიებო ხელისუფლების ორგანოებმა მიიჩნიეს, რომ სავარაუდო არასათანადო მოპყრობა თავისი სისატიკით უტოლდებოდა წამებას CPT იზიარებს ამ შეხედულებას. მეტიც, აღნიშნულმა უზიარა კომიტეტს გაეკეთებინა დასკვნა, რომ სახეზე იყო უფრო არასათანადო მოპყრობის მაგალითები, ვიდრე ცალკეული ინციდენტები.

... 22. თავისი წინა ვიზიტის შესახებ მოხსენებაში ჩვთ-მ განაცხადა, რომ დაზიანებათა ეფექტიანი შემოწმებით სამედიცინო პერსონალს ძალუძს მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს დაკავებულთა მიმართ პოლიციის მხრიდან არასათანადო მოპყრობის პრევენციაში. CPT-მ წარმოადგინა რიგი რეკომენდაციებისა, რათა გაუმჯობესდეს პროცედურები, რომლებსაც IDP-ებში მომუშავე ფელდშერები მიყვებიან. 2009 წლის ვიზიტის დროს, დელეგაციამ დააფიქსირა წარსულში აღმოჩენილის მსგავსი ნაკლოვანებები. ახლადშემოსულ პირებს ზედმეტად დაგვიანებით სინჯავდნენ (მაგ. რამდენიმე დღის დაგვიანებით). დაზიანებებს ძირითადად ზედაპირულად ამოწმებდნენ, თან, როგორც წესი, საპატიმროს ან ოპერატიული თანამშრომლების თანდასწრებით, ხოლო სამედიცინო შემოწმების ოქმის ასლი ხელმისაწვდომი იყო პოლიციისთვის. არაა გასაკვირი, რომ 2009 წლის აპრილის მოვლენათა კონტექსტში დაკავებულთა დაზიანებები ხშირად ვლინდებოდა და/ან აღინიშნებოდა მხოლოდ გათავისუფლების ან პენიტენციალურ დაწესებულებაში გადაყვანის შემდეგ.

ამისგან განსხვავებით, კიშინიოვის №13 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში დაზიანებათა მიღებისთანავე დათვალთქმება ზოგადად უფრო მაღალი სტანდარტით ხდებოდა: ახლად შემოსულ წინასწარ პატიმრობაში მყოფ პირებს მიღებიდან მოკლე ხანში სინჯავდა ციხის სამედიცინო პერსონალი, ხოლო დასკვნები დათვალთქმებისას დაფიქსირებულ დაზიანებათა შესახებ გადაეცემოდა გამომძიებელ ორგანოებს. მიუხედავად ამისა, დაზიანებათა აღწერა არ იყო სრულად დამაკმაყოფილებელი: ხშირ შემთხვევაში, ტრამეების აღწერილობა იყო მწირი, ჩანაწერები კი იშვიათად თუ შეიცავდნენ პატიმართა ჩვენებებს დაზიანებათა გამომწვევ მიზეზებზე.

... 28. ... უფასო იურიდიული დახმარების ახალი სისტემა სისხლის სამართლის დანაშაულში ხელმოკლე ექვმიტანილობათვის ამოქმედდა 2008 წლის შუაში, მას შემდეგ, რაც 2007 წლის 26 ივლისს ძალაში შევიდა კანონი იურიდიული დახმარების შესახებ. ამისდა მიუხედავად, დელეგაციის მიერ გამოკითხულ პირთა დიდმა ნაწილმა გამოხატა უკმაყოფილება სახელმწიფო ადვოკატების ხარისხით. ზოგიერთი სახელმწიფო ადვოკატის უმოქმედობამ 2009 წლის აპრილის მოვლენების დროს, როცა მათი კლიენტები მიანიშნებდნენ აშკარა დაზიანებებსა ან სავარაუდო არასათანადო მოპყრობაზე, გამოიწვია სკეპტიციზმი მათ პოლიციისა და საგამოძიებო ორგანოებისგან დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით.

29. საპოლიციო პატიმრობაში მყოფ პირთა უფლება, ხელი მიუწვდებოდეთ ექიმის მომსახურებაზე (პირადად არჩეული ექიმის ჩათვლით), კვლავაც არ არის პირდაპირ გარანტირებული კანონით ... მრავალი პირი, რომელმაც დაჰყო პოლიციის დაწესებულებაში 2009 წლის აპრილის მოვლენების დროს, აღნიშნავდა, რომ მათ უარი ეთქვათ დამოუკიდებელ სამედიცინო დახმარებაზე, მიუხედავად არაერთი მოთხოვნისა. ზოგიერთ შემთხვევაში, პოლიციის თანამშრომლები პირს უარს ეუბნებოდნენ ექიმის ხელმისაწვდომობაზე იმ მიზნით, რომ მიეღოთ აღიარება ან რაიმე სხვა სახის ჩვენება დაზიანებული დაკავებული პირებისგან. რამდენიმე შემთხვევაში აღმოჩნდა, რომ პირებს, რომელთაც აჩვენეს აშკარა დაზიანებები, არ გაენიათ სამედიცინო დახმარება იმ მიზეზით, რომ მათ ეს უკანასკნელი სათანადოდ არ მოითხოვეს. ამგვარი გარემოებები არათუ ტოვებს პატიმარს დაუცველს, რაც ესოდენ მნიშვნელოვანია არასათანადო მოპყრობის თავიდან ასაცილებლად, არამედ შესაძლოა სერიოზული დიდი დასავას საპოლიციო პატიმრობაში მყოფი პირის ჯანმრთელობას. ნათელია, რომ გადაწყვეტილებას დამოუკიდებელი ექიმის ხელმისაწვდომობაზე არ უნდა იღებდეს პოლიციის ოფიცერი.

... 40. 1998 წელს CPT-ს მოლდოვაში პირველი ვიზიტის შემდეგ წლების მანძილზე

ძლიერდებოდა საზოგადოებრივ პროკურორთა მიერ საპოლიციო დაწესებულებების კონტროლი. 2009 წლის აპრილში განვითარებული პოსტსაარჩევნო მოვლენების შემდეგ მოკლე ხანში, პროკურორებმა განახორციელეს ვიზიტები პოლიციის დაკავების დაწესებულებებში. დელეგაციას ეცნობა, რომ მათ ამ შემოწმების ფარგლებში მიიღეს მრავალი საჩივარი არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე.

მიუხედავად ამისა, დელეგაციასთან შეხვედრისას დაკავებულთა უმრავლესობა აცხადებდა, რომ ამ ვიზიტებამდე პოლიცია აფრთხილებდა მათ, არ დაეჩივლათ მოსანახულებლად მოსულ პროკურორებთან. ამასთან, როგორც ჩანს, პროკურორებს ახლდნენ პოლიციელები და სულაც არ ითხოვდნენ დაკავებულებთან პირად შეხვედრებს.

... 43. ... აპრილის მოვლენების შემდეგ, პატიმრობაში მყოფი პირები, რომელთაც შეხვდა დელეგაცია, დახურულ კარს მიღმა დაკითხეს [ნამების საწინააღმდეგო საკონსულტაციო საბჭოს]² წევრებმა ... 2009 წლის 9-დან 23 აპრილამდე საბჭოს წევრებს არ მიეცათ საშუალება, განეხორციელებინათ თავიანთი მოვალეობები; ძირითად დაბრკოლებათა შორის იყო - უარი შეშვებაზე (9 და 11 აპრილს), დაგვიანებით შეშვება (ორ საათამდე დაგვიანებით) და უარი საპატიმროს სარეგისტრაციო დავთრების გაცნობაზე. დელეგაციასთან შეხვედრილმა პოლიციის ოფიცრებმა შეშვებაზე შექმნილი პრობლემები დაუკავშირეს ინფორმაციის არქონას, სახელდობრ საბჭოს შემადგენლობის შესახებ.

44. ერთი სიტყვით, 2009 წლის პოსტსაარჩევნო პერიოდი იყო დამოუკიდებელ ვიზიტორ ორგანოთა ერთგვარი გამოცდა, თუ რამდენად ეფექტიანად ასრულებენ ისინი თავიანთ მოვალეობებს. თუმცა, დელეგაციის მოპოვებული მასალა ცხადყოფს სერიოზულ ნაკლოვანებებს მათ საქმიანობაში.

... 61. CPT აღიარებს, რომ აპრილის მოვლენების დროს პოლიციის მხრიდან არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებულ საქმეთა დიდი რაოდენობა მნიშვნელოვან გამოწვევას უსახავს საგამომძიებო ხელისუფლების ორგანოებს - ჯეროვნად შეასრულონ თავიანთი მოვალეობები. აღნიშნულს უნდა ებიძგებინა მათთვის, რომ გამოეყენებიათ უფრო ქმედითი და ერთიანი მიდგომა, განსაკუთრებული ყურადღება მიექციათ მოვლენათა განვითარების ერთგვარი ქრონიკისათვის, ყველა ჩართული პოლიციის ოფიცრის, ყველა სავარაუდო მსხვერპლის, პოტენციური მონმისა და სხვა პროფესიონალთა (მაგ. სამედიცინო პერსონალის) ჩათვლით. მართლაც, ბევრი საჩივარი და სხვა ინფორმაცია არასათანადო მოპყრობაზე თანმიმდევრულად უკავშირდება ერთსა და იმავე შემთხვევას, იმავე ადგილმდებარეობას, სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ურთიერთმსგავს მოდელებს და, შესაძლოა, საქმეში გარეულ ერთსა და იმავე პოლიციის ოფიცრს. ამკარაა, რომ სრულებით არამართებული მიდგომაა ამგვარ საქმეებზე ინდივიდუალური გამოძიების წარმოება და მათი განხილვა, როგორც დამოუკიდებელი, ერთმანეთთან დაუკავშირებელი ეპიზოდების, სათანადო კოორდინაციის გარეშე.

... 63. ვიზიტისას განხილულ ფაქტობრივად ყველა საქმეში, მიღებული ზომების შედეგად ვერ მოხერხდა სავარაუდო არასათანადო მოპყრობაში დამნაშავეთა გამოვლენა და/ან ნებისმიერი იმ ოფიციალური პირის გამოამკარავება, რომელთაც თვალი დახუჭეს ან წახალისეს ეს დანაშაულებრივი ქმედება. დელეგაციასთან

2. საპარლამენტო ადვოკატთა ოფისთან (ადამიანის უფლებათა ცენტრი) არსებული ორგანო, რომელიც უნდა შედგებოდეს 11 წევრისგან, სადაც შედის მექანიზმსა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებზე პასუხისმგებელი საპარლამენტო ადვოკატი.

შეხვედრისას პროკურორებმა ეს ფაქტი იმით ახსნეს, რომ ყველა პოლიციის ოფიცერს სახეზე ეკეთა ნილაბი, ხოლო მსხვერპლები ისე იდგნენ, რომ არ ჰქონდათ საშუალება, დაენახათ პოლიციის ოფიცერები, რომლებიც, სავარაუდოდ, ურტყამდნენ მათ. მიუხედავად ამისა, 2009 წლის ვიზიტის დროს ნათლად გამოჩნდა, რომ საგამოძიებო ხელისუფლების ორგანოებს არ მიუღიათ არანაირი ზომები მთელ რიგ საქმეებში, სადაც დაზარალებულებმა განაცხადეს, რომ ამოიცნობდნენ არასათანადო მოპყრობაში ეჭვმიტანილ პოლიციის ოფიცერებს....

ამასთან, სავარაუდო არასათანადო მოპყრობის გამოძიების ჭრილში არ განხილულა საკვანძო ინფორმაცია, რაც შესაძლებელს გახდიდა პოტენციური ეჭვმიტანილებისა და პოლიციის სპეცდანიშნულების რაზმის - „Fulger“-ის წევრებს შორის პოტენციურ მონშეთა იდენტიფიკაციას (მაგ. დაპატიმრების ოქმები). ამის საპირისპიროდ, ამგვარი ინფორმაცია განიხილეს პროკურორებმა, რომლებიც იკვლევდნენ 2009 წლის 7 აპრილის მასობრივ არეულობებსა და ძალაუფლების უზურპაციას. აღსანიშნავია ისიც, რომ არასათანადო მოპყრობის ამგვარ საქმეებზე მომუშავე პროკურორებმა საერთოდ არ დააყენეს შინაგან საქმეთა სამინისტროს ჩინოსნებისა და პოლიციის ოფიცერთა პასუხისმგებლობის საკითხი; CPT-ის აზრით, ის ფაქტი, რომ ასეთი მნიშვნელოვანი საკითხი განიხილეს მასობრივი არეულობებისა და ძალაუფლების უზურპაციის საქმეზე მომუშავე პროკურორებმა, სერიოზულად უთხრის ძირს ამ მიმართულებით განხორციელებული ნებისმიერი საგამოძიებო ქმედების მიუკერძოებლობას.

66. სავარაუდო არასათანადო მოპყრობის საქმეთა გამოძიებისას, საგამოძიებო ხელისუფლების ორგანოებს არ ეკისრებათ შედეგის ვალდებულება; თუმცა, მათ აქვთ ვალდებულება, განახორციელონ სათანადო საგამოძიებო ქმედება. საგამოძიებო ხელისუფლების ორგანოებმა თავიანთი ძალისხმევა მიიმართეს 2009 წლის მოვლენებთან დაკავშირებით პოლიციის მხრიდან არასათანადო მოპყრობის იმ ფაქტებზე რეაგირებისკენ, რაზეც მათ ინფორმაცია მიიღეს, მაშინაც კი, როცა არ არსებობდა ფორმალური საჩივარი. თუმცა, მოპოვებული მონაცემები გვაფიქრებინებს, რომ ბევრ შემთხვევაში უფლებამოსილმა პროკურორებმა დროულად არ გადადგეს ყველა გონივრული ნაბიჯი, რათა დაეცვათ მტკიცებულებები და ვერ გამოავლინეს ჭეშმარიტი ძალისხმევა პასუხისმგებელ პირთა დასადგენად.

ამასთან აღსანიშნავია, რომ დელეგაციის მიერ გამოკითხულმა ბევრმა სავარაუდო მსხვერპლმა, იმათი ჩათვლით, ვისაც ჯერ კიდევ არ დაუყენებია საჩივარი, ასევე იურისტებმა, გამოთქვეს ზოგადი უნდობლობა საგამოძიებო ხელისუფლების ორგანოებისა და სამხედრო პროკურატურის მიმართ, რომ მათ შეუძლიათ არასათანადო მოპყრობის ფაქტების ეფექტიანი გამოძიება. ჩქო-ის თვალსაზრისით, პოლიციაზე ჩივილის მექანიზმმა საზოგადოების ნდობა რომ დაიმსახუროს, ის არა მარტო დამოუკიდებელი უნდა იყოს, არამედ უნდა განიხილებოდეს პოლიციისგან დამოუკიდებლადაც.

2009 წლის 26 ოქტომბერს გაგზავნილ წერილში, მოლდოვის ხელისუფლება აცნობებს კომიტეტს, რომ ვიზიტის შემდგომ საგამოძიებო ხელისუფლების ორგანოები „გადავიდნენ სხვა საგამოძიებო ტაქტიკაზე“, სადაც მთავარი ყურადღება გადატანილია მაღალი რანგის პოლიციის ოფიცერთა ანგარიშვალდებულებაზე მათ მიერ განხორციელებულ ქმედებებსა ან უმოქმედობაზე...”

35. 2009 წლის 5 აპრილს მოლდოვაში ჩატარებული საყოველთაო არჩევნების შემდგომ განვითარებული მოვლენების მიზეზების და შედეგების გამოძიების საპარლამენტო კომისიის („კომისია“) მოხსენების შესაბამის ნაწილში ნათქვამია:

„IV. 2.1.1. დაკავებულთა რაოდენობა და მონაცემები

... სარეგისტრაციო დავთრების [რომლებიც ეკუთვნის შინაგან საქმეთა სამინისტროს დანესებულებებს] თანახმად, 2009 წლის 7-12 აპრილს დააპატიმრეს 571 პირი. ... ამ პირთა უმეტესობა დააკავეს 2009 წლის 7-9 აპრილს.

ამავდროულად, დაპატიმრების შესახებ სხვადასხვა ჩანაწერისა და სახელმწიფო ორგანოთა მიერ მოწოდებულ სხვა მონაცემთა ანალიზმა გამოაშკარავა, რომ დაახლოებით 70 პირის დაპატიმრება არ აისახა დაკავების ცენტრების სარეგისტრაციო დავთრებში. მრავალ შემთხვევაში, სარეგისტრაციო ჩანაწერში არ ჩანდა ის, რომ პატიმრები [მამაკაცი ან ქალი] გადაიყვანეს საავადმყოფოებში მიყენებული ტრავმების გამო. ბევრი ჩანაწერი, რომელიც ეხება 2009 წლის 7-12 აპრილს განხორციელებულ დაპატიმრებებს, მოხსენიებულია მარტივად - „შტეფან დიდის (Ștefan cel Mare) ქუჩიდან“, „პარლამენტიდან“, „პრეზიდენტის სასახლიდან“, „მთავრობის შენობებთან“ ახლოს“ ან „განმარტების მისაცემად“ და „№ ... ოფისიდან“ (შესაძლოა, ოფისის ნომერი არის პოლიციის შესაბამისი განყოფილება, საიდანაც დაპატიმრებულები გადაიყვანეს) - ყოველგვარი შემდგომი განმარტების გარეშე.

მიუხედავად ამისა, ხელისუფლებამ განაცხადა, რომ 2009 წლის 7 აპრილის მოვლენების შედეგად დაზარალდა 274 პოლიციის და სხვა [დანაყოფის] ოფიცერი და მხოლოდ სამი პირი დააკავეს ამ ზიანის მიყენებისათვის, ხოლო სხვებს ბრალი დასდეს მცირე ხულიგნობასა და პოლიციაზე თავდასხმისა ან დაუმორჩილებლობისათვის. კომისიამ დაასკვნა, რომ „ხალხის უბრალო შეკრება [რამდენიმე შესაბამისი] ქუჩისა და შენობის პერიმეტრზე, აღმოჩნდა „შესაფერისი“ მიზეზი, რათა [ისინი] დაეპატიმრებინათ და გადაეყვანათ პოლიციის განყოფილებებში“.

კომისიამ დაადგინა, რომ „საერთაშორისო ორგანიზაციების, მედიის, არასამთავრობო ორგანიზაციების და საზოგადოების მიერ გამოხატული ყველა უკმაყოფილება 2009 წლის აპრილში განვითარებულ მოვლენათა შემდეგ პოლიციის შეუსაბამო და არაპროპორციული ქმედების გამო, სრულიად გამართლებულია. პირთა უმეტესობა პოლიციამ დააპატიმრა უმიზეზოდ, დანაშაულის ჩადენის ყოველგვარი დასაბუთებული ეჭვის გარეშე; შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიულმა სამსახურებმა ვერ შეძლეს იმ პირთა ამოცნობა, რომელთაც ჩაიდინეს ძალადობრივი აქტები მათი კოლეგების მიმართ შინაგან საქმეთა სამინისტროდან; პოლიციამ განახორციელა არასათანადო მოპყრობა და წამების აქტები პატიმრობაში მყოფ პირთა მიმართ და საფუძველი შექმნა კონვენციით გარანტირებული პროცედურული ნორმების დარღვევისათვის...“.

IV. 2.2. სასამართლოთა ქმედებები

მოლდოვის რესპუბლიკის თანამედროვე ისტორიაში პირველად, დაკავებულთა საქმეები, რომელთაც პოლიცია ადანაშაულებდა ადმინისტრაციული ან სისხლისსამართლებრივი დანაშაულის ჩადენაში 7 აპრილის მოვლენების დროს, განიხილეს პოლიციის განყოფილებებში.

... ბუიუკანის საქალაქო სასამართლოს ყოფილმა გამომძიებელმა მოსამართლე M.D.-მ, [განუცხადა კომისიას, რომ მან] 2009 წლის 10 აპრილს, დაახლოებით, 13:00-დან 16:40 საათის ჩათვლით, GPD-ში განიხილა მხოლოდ და მხოლოდ ადმინისტრაციულ დანაშაულთან დაკავშირებული საქმეები. [მან] განიხილა ცხრა საქმე GPD-ში... არავის და მათ შორის არც ადვოკატებს არ უჩივლია არასათანადო მოპყრობაზე. მეტიც, არ შეინიშნებოდა არასათანადო მოპყრობის არანაირი კვალი.“

კომისიამ ასევე შეადგინა სტატისტიკური ბაზა, რომლის თანახმადაც მოსამართლეებმა 2009 წლის აპრილის მოვლენებთან მიმართებაში სხვადასხვა დანაშაულში ბრალდებულ პირთა დაკავებაზე პროკურატურიდან შემოსული ყველა შუამდგომლობის მხოლოდ 80% მიიღეს. 148 ამგვარი მოთხოვნიდან 88% განიხილეს სასამართლო დარბაზებს მიღმა, ხოლო საქმეთა უმრავლესობა განიხილეს GPD-ს შენობაში.

კომისიის განკარგულებაში არსებული მონაცემების თანახმად, მოსამართლე M.D.-მ GPD-ში 2009 წლის 10 აპრილს განიხილა 15 საქმე. მან მიიღო პროკურორთა ყველა შუამდგომლობა, დაუთმო რა თითოეულ საქმეს 22-დან 30 წუთამდე.

2009 წლის აპრილის საქმეებზე გამომძიებელი მოსამართლეების მიღებულ გადაწყვეტილებათა უმრავლესობა, ფაქტობრივად, ერთმანეთის იდენტური იყო. დაცვის ადვოკატების თავიანთ კლიენტთა დაკავებასთან დაკავშირებული 60 აპელაციიდან სააპელაციო სასამართლომ მიიღო 95%. შედეგად, დაკავებულები ან გაათავისუფლეს ანაც მიუსაჯეს პრევენციული ზომები, რაც არ გულისხმობდა პატიმრობას.

ყველა იმ მოსამართლემ, რომელმაც განიხილა 2009 წლის აპრილის მოვლენებთან დაკავშირებული საქმეები, კომისიას განუცხადა, რომ მათ ვერ დააფიქსირეს არასათანადო მოპყრობის რაიმე ამკარა ნიშნები იმ პირებზე, რომლებიც მათ წინაშე წარდგნენ. მხოლოდ ერთხელ დაიჩივლეს დაკავებულმა და მისმა ადვოკატმა არასათანადო მოპყრობაზე. კომისიამ აღნიშნა შეუთავსებლობა ამ ჩვენებებსა და იმ უამრავი დაზარალებულის ჩვენებებს შორის, ვინც სრულიად უშედეგოდ ჩიოდა არასათანადო მოპყრობაზე მოსამართლეებთან.

გენერალური პროკურატურის პასუხის თანახმად, 105 საჩივარი შემოვიდა 2009 წლის 7 და 8 აპრილს პოლიციის მიერ სავარაუდოდ განხორციელებულ არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე. სამედიცინო შემოწმების შემდეგ 100 პირიდან 64-ს აღმოაჩნდა სხვადასხვა დონისა და სირთულის დაზიანებები. შედეგად, 33 საქმეზე დაიწყო სისხლისსამართლებრივი გამოძიება.

კომისიამ დაასკვნა, რომ „საწყის ფაზაში პროკურორთა ქმედებები წამების და არასათანადო მოპყრობის საქმეების დასადგენად, გამოსაძიებლად და დასასჯელად იყო „თავშეკავებული“, ხოლო ზოგჯერ კი [პროკურორები] იმასაც ამბობდნენ, რომ დაკავებულები თავად იხატავდნენ დაზიანებებს საკუთარ სხეულზე... ამავე დროს ... დადგინდა, რომ პროკურორებმა, ისევე როგორც მოსამართლეებმა, არ გადადგეს მტკიცე ნაბიჯები, რათა შეეჩერებინათ წამების აქტები, მაშინაც კი, როდესაც ძალადობის კვალი ამკარა იყო.“

კომისიამ *inter alia* დაასკვნა, რომ „პოლიციის ქმედება 2009 წლის 7 აპრილის ღამეს იყო არაპროპორციული და უკანონო.““

36. თავიანთ მოხსენებაში „თავისუფლება, უსაფრთხოება და წამება: 2009 წლის აპრილის მოვლენები მოლდოვაში“, ადამიანის უფლებათა ინსტიტუტმა მოლდოვაში (IDOM) და ადამიანის უფლებათა რესურსების ცენტრმა (CReDO) *inter alia* დაასკვნეს, რომ:

„პოლიციამ უპასუხა უხეში დაუნდობლობითა და გაუმიზნავი, მეტწილად დაუსაბუთებელი დაპატიმრებებით, ცემითა და დაშინებებით.

დაკავებები და პატიმრობა შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატიმრო დაწესებულებებში ფართოდ და სისტემატურად გამოიყენებოდა, როგორც პოლიციის კონტრქმედება.

საქმეთა უმეტესობაში დაკავებები და პატიმრობები განხორციელდა მოტივებისა

და მიზეზების ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე.“

მოხსენების ავტორებმა ასევე მიიღეს ინფორმაცია, რომ დაკავებულთა 64%-ის თქმით, ისინი სცემა პოლიციამ დაკავების დროს, ხოლო 81% სცემეს დაკავების მომენტში. პოლიციის ეს დაუნდობლობა დასრულდა ორი დადასტურებული გარდაცვალებით და 10 ასევე საეჭვო შემთხვევით. 2009 წლის აპრილის მოვლენების დროს დაკავებულთა 40%-ს არ მიეცა საშუალება, გონივრული დროის ფარგლებში შეხვედროდა ადვოკატს, ხოლო 70%-ის შემთხვევაში იურიდიული დახმარება დაევალა სახაზინო წესით დანიშნულ ადვოკატებს.

37. მოლდოვის იურისტთა ასოციაციის (MBA) 2009 წლის 17 აპრილის დეკლარაციის შესაბამის ნაწილში ნათქვამია:

„[MBA] გმობს როგორც რიგი პირების მიერ 2009 წლის 7 აპრილის საპროტესტო აქციების დროს განხორციელებულ ძალადობრივ ქმედებებს, ასევე 2009 წლის 7 აპრილს შემგომ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ მიღებულ არაპროპორციულად ძალადობრივ და რეპრესიულ ზომებს.

...[MBA] მიუღებლად აცხადებს და გმობს იმ შემთხვევებს, როდესაც ადვოკატებს არ მიეცათ საშუალება, მოენახულებინათ თავიანთი კლიენტები და გაცნობოდნენ შესაბამის საქმეებს; ასევე იმ [ფაქტს], რომ მრავალ დაკავებულს უარი ეთქვა ადვოკატის არჩევაზე საკუთარი სურვილის მიხედვით, როცა მათ ნების გარეშე შესთავაზეს [სახაზინო წესით დანიშნული] ადვოკატების მომსახურება. ამ ადვოკატთა ნაწილი თავიანთი მონაწილეობით მხოლოდ ფორმალურ როლს ასრულებდა - აკანონებდა პატიმართა მიმართ განხორციელებულ უკანონო აქტებს...“

სამართალი

I. კონვენციის მე-3 მუხლის სავარაუდო დარღვევა

38. განმცხადებელმა გაასაჩივრა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა, სახელდობრ, სავარაუდო არასათანადო მოპყრობა მის მიმართ და ამასთან დაკავშირებული საჩივრის არაეფექტიანი გამოძიება. მან ასევე გაასაჩივრა არასათანადო პირობები წინასწარი პატიმრობისას. მე-3 მუხლი გვამცნობს:

„არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას ან არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან სასჯელს.“

A. დასაშვებობა

39. სასამართლო აღნიშნავს, რომ წინამდებარე განაცხადი არ არის აშკარად დაუსაბუთებელი კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 (ა) პუნქტის მნიშვნელობით. იგი არ შეიძლება დაუშვებლად გამოცხადდეს არც რაიმე სხვა საფუძვლით. შესაბამისად, იგი უნდა გამოცხადდეს არსებით განხილვაზე დასაშვებად.

B. საქმის არსებითი მხარეები

1. მხარეთა არგუმენტები

40. მთავრობამ განაცხადა, რომ განმცხადებელს არ მოჰყრობიან არასათანადოდ წინასწარი პატიმრობის დროს. სახელდობრ, მოვლენათა მისეული გადმოცემა ეწინააღმდეგება იმ ექიმის ჩვენებებს, რომელმაც იგი 2009 წლის 8 აპრილს გასინჯა. 2009 წლის 8 აპრილს განმცხადებელს არ უჩივლია არასათანადოდ მოპყრობაზე არც ექიმთან და არც პროკურორთან, რომელმაც იგი იმავე დღეს დაკითხა, და არც გამომძიებელ მოსამართლესთან, ვინც მისი დაპატიმრების განკარგულება გასცა 2009 წლის 10 აპრილს. ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ დაზიანებები განმცხადებლის სახეზე აშკარა იყო, ისინი აუცილებლად შესამჩნევი უნდა ყოფილიყო 2009 წლის 8 აპრილს პროკურორთან გამართულ შეხვედრაზე და 2009 წლის 10 აპრილის სასამართლო მოსმენაზე. საჩივარი არასათანადოდ მოპყრობაზე განმცხადებელმა მხოლოდ 2009 წლის 14 აპრილს გააკეთა, და ისიც არ დადასტურებულა რაიმე მტკიცებულებით. ხოლო, 2009 წლის 14 ნოემბერს ჩატარებული სამედიცინო კვლევის შედეგად, მის სახეზე აღმოჩენილი ლუსტი დაზიანებები შესაძლოა გამოეწვია სხვადასხვა ფაქტორს, როგორცაა, მაგალითად, ძალადობა სხვა დაკავებულთა მხრიდან. ამის მსგავსად, არ აღმოჩნდა არანაირი მტკიცებულება იმის დასტურად, რომ 2009 წლის 10 აპრილს განმცხადებელი აიძულეს გაეგლო ე.წ. „სიკვდილის კორიდორი“ GPD-ს შენობაში. მტკიცებულება რეაბილიტაციის სამედიცინო ცენტრიდან დაეფუძნა განმცხადებლის ფსიქოლოგიური მდგომარეობის სუბიექტურ შეფასებას და არა რაიმე სახის სამედიცინო მონაცემთა ანალიზს. ის [გამოკვლევა] გაცილებით უფრო გვიან ჩატარდა, ვიდრე 2009 წლის სექტემბრისთვის დასრულებული 2009 წლის აპრილის მოვლენები. და ბოლოს, განმცხადებლის მოწოდებული ვერსია სხვაგვარად წარმოადგინა მისმა მეგობარმა S-მა, რომელიც განმცხადებელთან ერთად დააკავეს.

41. რაც შეეხება გამოძიებას განმცხადებლის საჩივარზე არასათანადოდ მოპყრობის შესახებ, ის წარიმართა საფუძვლიანად და ეფექტიანად. საქმესთან დაკავშირებული ყველა პირი დაიკითხა და ჩატარდა ორი სამედიცინო გამოკვლევა. გამომდინარე იქიდან, რომ S-მა უარყო მოვლენათა აღწერის განმცხადებლისეული ვერსია და არ არსებობდა მყარი მტკიცებულებები პოლიციის რომელიმე ოფიცრის წინააღმდეგ, სისხლისსამართლებრივ გამოძიებას ადგილობრივ სამართლოებში წარმატების არანაირი პერსპექტივა არ ჰქონდა.

42. განმცხადებელმა განაცხადა, რომ პოლიციის განყოფილებაში იგი მიიყვანეს ჯანსაღი და დაზიანებები მხოლოდ პატიმრობისას მიიღო. 2009 წლის 8 აპრილს პროკურორთან დაკითხვისას, მისთვის არავის არ აუხსნია, რომ მას ამავე პროკურორთან შეეძლო ეჩივლა არასათანადოდ მოპყრობაზე. მეტიც, პროკურორმა დაუსვა კითხვები მხოლოდ მის წინააღმდეგ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეზე, რამაც არანაირად არ შეუწყო ხელი იმ რწმენის განმტკიცებას, რომ ხსენებული პროკურორი დაეხმარებოდა მას შემდგომი არასათანადოდ მოპყრობისგან თავის დაღწევაში. განმცხადებელმა დასძინა, რომ იგი არ ენდო ადვოკატს, რომელიც მას სახაზინო წესით დაუნიშნა სახელმწიფომ იმისდა განუმარტავად, რომ მას ჰქონდა უფლება, დაექირავებინა თავისი სურვილისამებრ არჩეული ადვოკატი. ადვოკატის ფორმალურმა დასწრებამ პოლიციის დაკითხვაზე მას არ გაუღვივა იმის რწმენა,

რომ პროკურორთან ჩივილის შემთხვევაში იგი კვლავ არ დაექვემდებარებოდა არასათანადო მოპყრობას პოლიციის მხრიდან, რაზეც მიაწინებდა ისიც, რომ იგი კვლავ მოკლებული იყო მშობლებთან დაკავშირების საშუალებას. მხოლოდ მას შემდეგ, რაც მისი მშობლების მიერ დაქირავებულ ადვოკატს შეხვდა 2009 წლის 14 აპრილს №13 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, მან თავი იგრძნო შედარებით უსაფრთხოდ, რათა ეჩივლა და გაეწეო სამედიცინო შემოწმება, რომლის დროსაც განუმარტა ექიმს დაზიანებათა წარმომავლობა.

43. განმცხადებლის აზრით, პროკურორმა ვერ შეასრულა მასზე დაკისრებული გამოძიების ვალდებულება, როგორცაა იმის დადგენა, თუ რომელმა სატვირთო მანქანამ მოიყვანა განმცხადებელი №13 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში და რომელი ოფიცრები ახლდნენ მას თან. უფრო სავალალოა, რომ სისხლისსამართლებრივი გამოძიება არ დაწყებულა, რითაც შეიზღუდა პროკურატურის საგამოძიებო ძალაუფლება. მეტიც, პროკურორს დასჭირდა 2 თვე, რომ მიეღო გადაწყვეტილება, არ დაწყებულიყო სისხლისსამართლებრივი გამოძიება, რითაც გაფლანგა ძვირფასი დრო და სამომავლოდ შეასუსტა საფუძველი იმისათვის, რომ დამტკიცებულიყო არასათანადო მოპყრობა განმცხადებლის მიმართ. პროკურორმა ამოცნობა დაიყვანა განმცხადებლისა და სავარაუდო მწამებლების დაკითხვის დონემდე. მან ვერ შეძლო ამოცნობის პროცედურის ჩატარება, იმისდა მიუხედავად, რომ განმცხადებელმა გამოთქვა მზადყოფნა, მოეხდინა ოფიცერთა იდენტიფიკაცია; და არც ეცადა დაედგინა განმცხადებლის თანასაკნელების ვინაობა, რომელთაც შეეძლოთ დაედასტურებინათ ან უარეყოთ მის სახეზე დაზიანებათა არსებობა 2009 წლის 8 აპრილის მდგომარეობით.

2. სასამართლოს შეფასება

44. როგორც სასამართლომ არაერთხელ აღნიშნა, მე-3 მუხლი მოიცავს დემოკრატიული საზოგადოებისთვის ერთ-ერთ ყველაზე ფუნდამენტურ ღირებულებას. ყველაზე რთულ სიტუაციაშიც კი, როგორცაა ტერორიზმსა და ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლა, კონვენცია აბსოლუტურად კრძალავს წამებასა და არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას. კონვენციისა და 1-ლი და მე-4 ოქმების ბევრი არსებითი დათქმისაგან განსხვავებით, მე-3 მუხლი გამორიცხავს გამონაკლისს. მისი არსებითი დებულებებიდან გადახვევა ნებადართული არ არის არც კონვენციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტით, თუნდაც საგანგებო სიტუაციის დროს, როცა საფრთხე ექმნება ერის სიცოცხლეს (იხ. *Selmouni v. France* [GC], №25803/94, §95, ECHR 1999-V, და *Assenov and Others v. Bulgaria*, 1998 წლის 28 ოქტომბერი, §93, Reports of Judgments and Decisions 1998-VIII).

45. ბრალდებები არასათანადო მოპყრობაზე უნდა მყარდებოდეს შესაბამისი მტკიცებულებით (იხ. *mutatis mutandis* *Klaas v. Germany*, 1993 წლის 22 სექტემბერი, §30, Series A, №269). ამ მტკიცებულების შესაფასებლად, სასამართლო, როგორც წესი, იყენებს “გონივრულ ეჭვს მიღმა” მტკიცების სტანდარტს. თუმცა, როდესაც მოვლენებზე ინფორმაცია სრულად, ან დიდწილად, მხოლოდ ხელისუფლების ორგანოებს აქვთ, როგორც, მაგალითად, პატიმრობაში მათ კონტროლქვეშ მყოფი ადამიანების შემთხვევაში, წარმოიშობა მყარი ვარაუდი ამგვარი პატიმრობისას გაჩენილ დაზიანებათა მიმართ. ასეთ შემთხვევებში მტკიცების ტვირთი შეიძლება სრულად დაეკისროს ხელისუფლების ორგანოებს, რომლებმაც უნდა წარმოადგინონ საკმარისი და დამაჯერებელი ახსნა-განმარტება (იხ. *Salman v. Turkey* [GC],

№21986/93, §100, ECHR 2000-VII). ამგვარი ახსნა- განმარტების გარეშე სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს მოპასუხე მთავრობისათვის არასასურველი დასკვნები (იხ. *Orhan v. Turkey*, №25656/94, §274, 2002 წლის 18 ივნისი).

46. მეტიც, თუ პირი აღძრავს დასაბუთებად სასარჩელო მოთხოვნას, რომ მას, მე-3 მუხლის დარღვევით, არასათანადოდ მოეპყრო პოლიცია, ეს დებულება, ნაკითხული კონვენციის 1-ლი მუხლით განსაზღვრულ სახელმწიფოს ზოგად მოვალეობასთან ერთად - „თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში ყველასათვის უზრუნველყონ [ამ] კონვენციაში ... განსაზღვრული უფლებები და თავისუფლებები“ - ირიბად მოითხოვს ეფექტიან ოფიციალურ გამოძიებას. გამოძიების ვალდებულებაა „არა შედეგი, არამედ საშუალებები“: არ არის აუცილებელი, რომ ყველა გამოძიება იყოს წარმატებული ან მივიდეს შედეგამდე, რომელიც თანხვედრა განმცხადებლის ხედვას მოვლენების შესახებ; თუმცა, მან პრინციპულად უნდა შეძლოს საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენა, და თუ დადასტურდა, რომ ბრალდებები მართალია, პასუხისმგებელ პირთა გამოვლენა და დასჯა. ამდენად, არასათანადო მოპყრობის სერიოზული ბრალდებები უნდა გამოიძიონ ამომწურავად. ეს ნიშნავს, რომ ხელისუფლების ორგანოებმა უნდა გაიღონ სერიოზული ძალისხმევა იმის გასარკვევად, თუ რა მოხდა, და გამოძიების დასაბუთებად ან გადანაცვტილების მისაღებად არ უნდა დაეყრდნონ სწრაფ და დაუსაბუთებელ დასკვნებს. მათ უნდა გადადგან ყველა შესაძლო გონივრული ნაბიჯი, რათა დაიცვან შემთხვევასთან დაკავშირებული მტკიცებულებები *inter alia* მოწმეთა ჩვენებების, სასამართლოს ექსპერტის მტკიცებულებებისა და სხვ. ჩათვლით. ნებისმიერი შეცდომა გამოძიებაში, რაც ძირს უთხრის იმ შესაძლებლობას, რომ დადგინდეს დაზიანებათა წარმოშობის მიზეზები ან პასუხისმგებელ პირთა ვინაობა, ქმნის ამ სტანდარტთან შეუსაბამობის რისკს (იხ. სხვა გადანაცვტილებათა შორის, *Mikheyev v. Russia*, №77617/01, §107 და სხვ. 2006 წლის 26 იანვრის გადანაცვტილება, და ზემოხსენებული *Assenov and Others v. Bulgaria*, §102 და სხვ.).

47. და ბოლოს, სასამართლომ საქმეში *Bati and Others v. Turkey* (№ 33097/96 და 57834/00, ECHR 2004-IV (ამონარიდები)) დაასკვნა, რომ:

„136. ეჭვს მიღმაა, რომ დაუყოვნებლივ და გონივრული სისწრაფით გამოძიების მოთხოვნა ამ კონტექსტშიც მოიაზრება. არასათანადო მოპყრობის შესახებ ბრალდებათა გამოძიებისას ხელისუფლების ორგანოების დაუყოვნებელი რეაქცია შესაძლოა ზოგადად ჩაითვალოს არსებითად, კანონის უზენაესობის პრინციპისადმი საზოგადოების რწმენის შენარჩუნებისა ან შეთქმულების თუ უკანონო ქმედებებისადმი ტოლერანტობის გამოვლენის პრევენციისთვის (იხ. სხვა საქმეებთან ერთად, *Indelicato v. Italy*, #31143/69, §37, 2001 წლის 18 ოქტომბრის გადანაცვტილება, და *Özgür Kılıç v. Turkey* (dec), №42591/98, 2002 წლის 24 სექტემბრის გადანაცვტილება). მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტულ სიტუაციაში საგამოძიებო პროცესი შეიძლება შეფერხდეს დაბრკოლებით ან სირთულეებით, ხელისუფლების ორგანოებისათვის ზოგადად არსებითია გამოძიების დაუყოვნებლივ დაწყება, კანონის უზენაესობის პრინციპისადმი საზოგადოების რწმენის შენარჩუნების ან შეთქმულების თუ უკანონო ქმედებებისადმი ტოლერანტობის გამოვლენის პრევენციის მიზნით (იხ. *mutatis mutandis*, *Paul and Audrey Edwards v. the United Kingdom*, №46477/99, §72, ECHR 2002-II).“

(ა) მე-3 მუხლის შინაარსობრივი მხარე

48. სასამართლო აღნიშნავს, რომ მოლდოვასთან მიმართებაში განხილული წინა საქმეებისგან განსხვავებით, რომლებიც ეხება სავარაუდო არასათანადო მოპყრობის შესახებ ინდივიდუალურ საქმეებს, წინამდებარე საქმე უფრო არასათანადო მოპყრობის მსგავს სავარაუდო დარღვევათა ნაწილია, რომლებიც დროის შედარებით მოკლე პერიოდში განხორციელდა. მდგომარეობა იმდენად სერიოზულად მიიჩნია წამების საწინააღმდეგო ევროპულმა კომიტეტმა, რომ დაასკვნა - მას შემდეგ რაც განხილულ იქნა „საგრძნობლად დიდი რაოდენობის სარწმუნო და თავსებადი განცხადებები 2009 წლის აპრილის პოსტსაარჩევნო მოვლენების დროს პოლიციის მიერ გამოვლენილ არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე“ „სახეზე იყო უფრო არასათანადო მოპყრობის მაგალითები, ვიდრე ცალკეული ინციდენტები“ (იხ. ზემოთ 34-ე პუნქტში ჩვთ-ს მოხსენების მე-10 და მე-15 პუნქტები). ამავე დასკვნებამდე მივიდა ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარი („არასათანადო მოპყრობისგან დაცულობის ძირითადი უფლების ესოდენ ფართომასშტაბიანი დარღვევა“, იხ. ზემოთ პუნქტი 33) და პარლამენტის საგამოძიებო კომისია, რომელსაც დაევალა გამოეკვლია 2009 წლის 5 აპრილს მოლდოვაში ჩატარებული საყოველთაო არჩევნების შემდგომ განვითარებულ მოვლენათა მიზეზები და შედეგები („პირთა უმეტესობა პოლიციამ დააპატიმრა უმიზეზოდ...; პოლიციამ განახორციელა არამართებული მოპყრობა და წამების აქტები პატიმრობაში მყოფ პირთა მიმართ“, იხ. ზემოთ პუნქტი 35).

49. ითვალისწინებს რა იმას, რომ პოლიციამ დაპატიმრებულთა მიმართ გამოიყენა სისტემატური და ფართომასშტაბიანი არასათანადო მოპყრობა, სასამართლო, სანამ ის დაადგენს კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას, კვლავ უნდა დარწმუნდეს, რომ განმცხადებელმა წარმოადგინა საკმარისი მტკიცებულება, რომ იგი თავად გახდა არასათანადო მოპყრობის მსხვერპლი. ამასთან დაკავშირებით, სასამართლო აღნიშნავს, რომ პოლიციის განყოფილებაში მიყვანისას განმცხადებლის სხეულზე არ შეუმჩნევიათ ზიანის კვალი არც იმ ოფიცრებს, ვინც ის დააკავეს და არც მათ, ვინც პასუხს აგებდა განმცხადებლის პატიმრობაზე. იგი 2009 წლის 7 აპრილს (მთავრობის თანახმად, 8 აპრილს) დროებითი მოთავსების იზოლატორში შევიდა ჯანსაღი. მეტიც, მთავრობის წარმოდგენილი სამედიცინო ჩანაწერის თანახმად, 2009 წლის 8 აპრილს განმცხადებელი მოინახულა ციხის ექიმმა, რომელმაც ვერ იპოვა არასათანადო მოპყრობის რაიმე კვალი (იხ. ზემოთ პუნქტი 15). თუმცა, ერთკვირიანი პატიმრობის მერე, ციხის სხვა ექიმმა აღმოაჩინა დაზიანებები განმცხადებლის სახეზე (იხ. ზემოთ პუნქტი 20).

50. სასამართლოს აზრით, მთავრობამ ვერ წარმოადგინა მისაღები ახსნა-განმარტება პატიმრობისას განმცხადებლისათვის მიყენებულ დაზიანებათა წარმომშობ მიზეზებზე. მეტიც, სხვადასხვა საერთაშორისო და ეროვნული ორგანოს მრავალი მოხსენება ადასტურებს, რომ ფაქტობრივად არ არსებობს საჩივრები არასათანადო მოპყრობაზე №13 სასჯელაღსრულების დანესებულებაში მაშინ, როცა ამგვარ საჩივართა უმრავლესობა მოდის პოლიციის განყოფილებებსა და GPD-ს შენობებზე (იხ. ზემოთ პუნქტები 33 და 34). მართლაც, განმცხადებელს არასოდეს არ დაუჩივლია ძალადობაზე №13 სასჯელაღსრულების დანესებულებაში. სასამართლო ასკვნის, რომ საქმის მასალები, რომელთა სათანადო უარყოფა მთავრობამ ვერ შეძლო, წარმოშობს მტკიცე ვარაუდს, რომ განმცხადებელმა დაზიანებები მიიღო ან ბოტანიკას პოლიციის განყოფილებაში ან GPD-ს

შენობაში 2009 წლის 8-დან 10 აპრილამდე. ამასთან დაკავშირებით, ასევე მნიშვნელოვანია იმაში დარწმუნება, რომ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებმა წარმართეს ეფექტიანი გამოძიება, რათა ნათელი მოეფინათ ვითარებისათვის. რამდენადაც მთავრობამ ვერ შეძლო ეფექტიანი გამოძიება და პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის დადგენა მის დროებითი მოთავსების იზოლატორში მოთავსებამდე, „...მას არ შეუძლია დაეყრდნოს ამ წარუმატებლობას თავის დაცვისას და ამტკიცოს, რომ საკამათო ზიანის წარმოშობა წინ უსწრებდა საპოლიციო პატიმრობას“ (Türkan v. Turkey, №33086/04, §43, 2008 წლის 18 სექტემბრის გადაწყვეტილება; ასევე იხ. Popa v. Moldova, №29772/05, §39-45, 2010 წლის 21 სექტემბრის გადაწყვეტილება).

51. მეტიც, განმცხადებელმა იჩივლა პატიმრობის არაადამიანურ პირობებზე (იხ. ზემოთ პუნქტი 15). სასამართლო შენიშნავს, რომ განმცხადებელი დროის შედარებით მოკლე მონაკვეთით იყო მოთავსებული ბოტანიკას პოლიციის განყოფილებაში და GPD-ს შენობაში, რომლებიც 2009 წლის 7-12 აპრილისთვის მეტისმეტად გადაიტვირთა (იხ. ზემოთ პუნქტი 33). მთავრობამ ვერ წარმოადგინა ვერანაირი მტკიცებულება, რომ განმცხადებელს შესთავაზეს დახმარება მიღებულ დაზიანებათა გამო 2009 წლის 14 აპრილამდე, როდესაც მან იჩივლა. რამდენადაც ზემოაღნიშნული გარემოებები ექცევა კონვენციის მე-3 მუხლის მოქმედების ფარგლებში, სასამართლო მიიჩნევს, რომ წინამდებარე საქმეში აღნიშნული ელემენტი ამძაფრებს ტანჯვას, რაც განმცხადებელს მიაღდა არასათანადო მოპყრობისა და დაკავების სხვა გარემოებათა გამო.

52. სასამართლო უარყოფს მთავრობის არგუმენტს, რომ საჩივრის არარსებობა 2009 წლის 14 აპრილამდე, გამორიცხავს არასათანადო მოპყრობას. სასამართლო ეყრდნობა მრავალი მსხვერპლის მონათხრობს, რომ ისინი იმყოფებოდნენ დაუცველ მდგომარეობაში 2009 წლის 7-12 აპრილს, მათ თავად იხილეს სხვა ადამიანების არასათანადო მოპყრობა და დამცირება, და ეშინოდათ შემდგომი არასათანადო მოპყრობისა პროკურორის ან მოსამართლის წინაშე ჩივილის შემთხვევაში. მეტიც, განმცხადებელს უარი ეთქვა ნათესავებთან დაკავშირებასა და ადვოკატის საკუთარი სურვილით დაქირავებაზე, რასაც დაერთო სახაზინო წესით დანიშნული ადვოკატის სავარაუდო პასიური როლიც, რომელმაც არაფერი მოიმოქმედა განმცხადებლის სახეზე აშკარად შესამჩნევ არასათანადო მოპყრობის ნიშნებზე - ყველაფერმა ამან ვერ გააძლიერა განმცხადებლის განზრახვა, აღეძრა საჩივარი. სასამართლო იხსენებს გამოთქმულ შეშფოთებას შესაბამის პერიოდში სახაზინო წესით დანიშნული ადვოკატების დამოუკიდებლობისა და მათი შესრულებული სამუშაოს ხარისხის გამო (იხ. ზემოთ 34-ე პუნქტში CPT-ს მოხსენების 28-ე პუნქტი და ასევე პუნქტი 37), აგრეთვე იმას, რომ მოსამართლეები, მოსამართლე M.D-ს ჩათვლით, განზოგადებულად განიხილავდნენ საქმეებს პოლიციის განყოფილებებში, ხოლო პროკურორები და გამომძიებელი მოსამართლეები ქმედით ზომებს არ იღებდნენ არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე 2009 წლის აპრილის მოვლენების დროს (იხ. ზემოთ პუნქტი 35). ყოველივე ეს არის არა მარტო სერიოზული შეშფოთების მიზეზი, არამედ ადასტურებს იმ შიშისა და უმწეობის განცდას, რაც განმცხადებელს დაეუფლა პატიმრობის დროს. ასეთივე გრძნობები გაიზიარა სავარაუდო მსხვერპლთა უმეტესობამ. როგორც ეს CPT-მ თავისი მოხსენების მე-10 პუნქტში დააფიქსირა, „აპრილის მოვლენათა დროს პოლიციის მხრიდან სავარაუდო არასათანადო მოპყრობა გამოაშკარავდა მას შემდეგ, რაც საქმესთან დაკავშირებული პირები

გადაიყვანეს იუსტიციის სამინისტროს დაწესებულებებში ან გათავისუფლდნენ ...“. სხვა დაწესებულებაში გადაყვანის და თავისთვის სანდო ადვოკატთან შეხვედრის შემდეგ, როდესაც თავი გაცილებით უსაფრთხოდ იგრძნო, განმცხადებელმა იჩივლა, რასაც არსებული ვითარების გათვალისწინებით სასამართლო მიიჩნევს სრულებით გასაგებად.

53. ზემოთქმული მოსაზრებები საკმარის საფუძველს აძლევს სასამართლოს დაასკვნას, რომ სახეზეა კონვენციის მე-3 მუხლის არსებითი მხარის დარღვევა.

(ბ) მე-3 მუხლის პროცესუალური მხარე

54. ამჯერად სასამართლო განიხილავს, თუ როგორ გამოიძიეს განმცხადებლის საჩივარი არასათანადო მოპყრობაზე. ის აფიქსირებს, რომ საქმის ირგვლივ არსებული ვითარების პირველადი მოკვლევა წარმართა უწყებამ (შინაგან საქმეთა სამინისტრო) რომლის თანამშრომელთა მისამართითაც გაისმა ყველაზე მეტი ბრალდება არასათანადო მოპყრობაზე (პოლიცია არის ამ სამინისტროს დაქვემდებარებაში, იხ. ზემოთ პუნქტი 21-23). შეიძლება ითქვას, რომ პროკურორის უარი, დაეწყო სისხლისსამართლებრივი გამოძიება, გარკვეულწილად დაეფუძნა ამ სამინისტროს მოკვლევის შედეგებს. ეს უფრო უცნაურად მოჩანს იმის ფონზე, რომ როგორც განიმარტა, სავარაუდო არასათანადო მოპყრობაზე საქმეთა გამოძიება სამხედრო პროკურორებს გადაეცათ სწორედ იმისთვის, რომ გამორიცხულიყო კავშირი გამოძიების წარმმართველებსა და პოლიციას შორის (იხ. ზემოთ პუნქტი 33). მეტიც, სამხედრო პროკურორებმა განაცხადეს, რომ მათ ყურადღება გაამახვილეს სამინისტროს მაღალჩინოსან პოლიციის ოფიცრებზე (იხ. 34-ე პუნქტში CPT-ს მოხსენების 66-ე პუნქტი), რაც ამ უწყების წარმოებულ გამოძიებას შეუსაბამოს ხდის მოთხოვნასთან, რომ გამოძიებლები არ უნდა იყვნენ დამოკიდებულნი გამოძიების ქვეშ მყოფ პირებზე. ამგვარად, გამოძიება განმცხადებლის საჩივარზე გარკვეულწილად კომპრომენტირებულია.

55. სასამართლო აგრეთვე შენიშნავს, რომ საქმეში არსებული დოკუმენტების თანახმად, სამხედრო პროკურორმა განმცხადებლის საჩივარი როგორც ჩანს მიიღო მხოლოდ 2009 წლის 21 აპრილს - გაგზავნიდან ერთი კვირის მერე. შემდეგ, იგი როგორც მინიმუმ 38 დღეს (2009 წლის 29 მაისამდე, ან უფრო გვიანობამდე, იხ. ზემოთ პუნქტი 24) დაელოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ წარმართულ შიდა მოკვლევის შედეგებს. მიიღო რა 2009 წლის 12 ივნისს საბოლოო გადაწყვეტილება, არ დაეწყო სისხლისსამართლებრივი გამოძიება, მან მხოლოდ 2009 წლის 16 ივლისს (იხ. ზემოთ პუნქტები 24 და 25) აცნობა განმცხადებელს თავისი ამ გადაწყვეტილებს შესახებ.

სასამართლოს აზრით, ზემოაღნიშნული აუხსნელი შეყოვნებები შეუსაბამოა გამოძიების დაუყოვნებლად დაწყების იდეასთან, რასაც კონვენციის მე-3 მუხლი მოითხოვს, რამდენადაც არსებობს საშიშროება, რომ არასათანადო მოპყრობის კვალი დროთა განმავლობაში გაუჩინარდეს, ხოლო დაზიანება მორჩეს (მაგალითისთვის იხ. *Pădureț v. Moldova*, №33134/03, §63, 2010 წლის 5 იანვარი).

56. გარდა ამისა სასამართლო აღნიშნავს, რომ მიუხედავად აშკარა დაზიანებებისა განმცხადებლის სახეზე, რაც დაადასტურა ექიმმა 2009 წლის 14 აპრილს, არც ერთ ოფიციალურ პირს, რომელთაც იგი იხილეს აღნიშნულ დღემდე - ბოტანიკას პოლიციის განყოფილებაში, პროკურატურაში (რომელიც მუშაობდა განმცხადებლის წინააღმდეგ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეზე), GPD-ს შე-

ნობებში (სადაც იგი ნახა გამომძიებელმა მოსამართლე M.D.-მ), ან №13 სასჯელსრულების დაწესებულებაში - არ შეუტყობინებთ საგამოძიებო სამსახურებისათვის შესაძლო არასათანადო მოპყრობის ფაქტის შესახებ, განმცხადებლის არაერთი საჩივრის მიუხედავად.

57. სასამართლო კვლავ იმეორებს, რაც მან უკვე დაადგინა, რომ „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 93-ე, 96-ე და 109-ე მუხლების თანახმად, არავითარი საგამოძიებო ღონისძიება არ [შეიძლება] გატარდეს სავარაუდოდ ჩადენილ დანაშაულზე ... თუკი სისხლის სამართალწარმოება ფორმალურად არ დაწყებულა“ (იხ. Guțu v. Moldova, №20289/02, §61, 2007 წლის 7 ივნისი, და Ipate v. Moldova, №23750/07, §63, 2011 წლის 21 ივნისი). წინამდებარე საქმეში სისხლისსამართლებრივი გამოძიება არ დაწყებულა, რამაც შეზღუდა გამომძიებლის ძალაუფლება და დააკნინა ნებისმიერი იმ მტკიცებულების მნიშვნელობა, რაც მოიპოვეს განმცხადებლის მიმართ არასათანადო მოპყრობის ჩამდენთა სისხლისსამართლებრივი დევნისათვის.

58. ამავდროულად, განმცხადებელმა გაასაჩივრა, რომ გამომძიებელმა არ ჩაატარა ამოცნობის პროცედურა, მიუხედავად მისი მოთხოვნისა, არც 2009 წლის 8-10 აპრილს მასთან ერთად დაკავებული სხვა პირები მოიძია, რაც საშუალებას მისცემდა შეემონწმებინა, ჰქონდა თუ არა სახეზე არასათანადო მოპყრობის აშკარა კვალი. ხსენებულმა ნაკლოვანებებმა შემდგომში შეარყია გამოძიების ეფექტიანობა.

59. სასამართლო მიიჩნევს, რომ კონვენციის მე-3 მუხლის პროცესუალურ მოთხოვნებს არ შეესაბამება შემდეგი: განმცხადებლის საჩივარზე არასათანადო მოპყრობის შესახებ არ დაწყებულა სათანადო სისხლისსამართლებრივი გამოძიება, აუხსნელი მიზეზით დაგვიანდა განმცხადებლის ბრალდებათა გამოძიება, ხოლო გამოძიების შედეგები დაგვიანებით ეცნობა მას, მოკვლევა ნაწილობრივ განახორციელა ორგანომ, რომელშიც მუშაობდა არასათანადო მოპყრობაში დადანაშაულებულ ან ამ ფაქტის წამყრუებელ პირთა უმეტესობა, რეაგირების გარეშე დარჩა არასათანადო მოპყრობის აშკარა კვალი განმცხადებლის სახეზე, არ დადგენილა განმცხადებელთან ერთად დაკავებული პირები და არც ამოცნობის პროცედურა ჩატარებულა, რითაც გამოვლინდებოდა მტკიცებულებები.

შესაბამისად, დაირღვა მე-3 მუხლის პროცედურული მხარე.

II. კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება

60. კონვენციის 41-ე მუხლის თანახმად:

„თუ სასამართლო დაადგენს, რომ დაირღვა კონვენცია და მისი ოქმები, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემკვრელი მხარის შიდასახელმწიფოებრივი სამართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს“.

A. ზიანი

61. განმცხადებელმა მოითხოვა 15,000 ევრო არამატერიალური ზიანის საზღვროდ. მან აღნიშნა, რომ დაზარალდა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მხრიდან არასათანადო მოპყრობითა და დამცირებით; მათ არ აღმოუჩი-

ნეს საჭირო სამედიცინო დახმარება; არ მისცეს საშუალება, ოჯახისათვის შეეცხოვინებია მისი ადგილსამყოფელის შესახებ დაკავების პირველ დღეებში და მიაყენეს ფსიქოლოგიური სტრესი, რისგანაც ის კვლავ იტანჯება.

62. მთავრობამ აღნიშნული გააპროტესტა. რადგან ექიმებმა განმცხადებლის სხეულზე დაადგინეს მხოლოდ მსუბუქი ტრავმები, სავარაუდო ტანჯვა არ უნდა ყოფილიყო ძალიან ინტენსიური და, ამდენად, მოთხოვნილი თანხა არის გადაჭარბებული.

63. საქმის სპეციფიკური გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლო სრულად მისაღებად მიიჩნევს განმცხადებლის მოთხოვნას სამართლიან დაკმაყოფილებაზე არამატერიალური ზიანის თვალსაზრისით.

B. ხარჯები და დანახარჯები

64. განმცხადებელმა ასევე მოითხოვა 1,500 ევრო სასამართლოში ხარჯებისა და დანახარჯებისათვის. მან დაასახელა ისეთი კონკრეტული საქმიანობა, როგორიცაა ადვოკატის მიერ კვლევის შედეგების წერილობით გადმოცემა, რაზეც მან 50 საათის განმავლობაში იმუშავა.

65. მთავრობის მტკიცებით, მოთხოვნილი თანხა გადაჭარბებული და დაუსაბუთებელია.

66. სასამართლოს პრეცედენტული სამართლის თანახმად, განმცხადებელს შეუძლია ხარჯებისა და დანახარჯების მოთხოვნა, როცა ნაჩვენებია, რომ ეს თანხები რეალურად და საჭიროებისამებრ დაიხარჯა და თანხის მითითებული ოდენობა გონივრულია. წინამდებარე საქმეში, ითვალისწინებს რა მის ხელთ არსებულ დოკუმენტებს და ზემოხსენებულ კრიტერიუმებს, სასამართლო სრულად იღებს განმცხადებლის მოთხოვნას ხარჯებისა და დანახარჯების ანაზღაურებაზე.

C. საურავი

67. სასამართლო შესაფერისად მიიჩნევს, რომ საურავი განისაზღვროს ევროპის ცენტრალური ბანკის მიერ დადგენილი მინიმალური ნიხრით, რასაც უნდა დაემატოს თანხის სამი პროცენტი.

სსენაპული მიჯაჯაპიდან გამომდინარე, სასამართლო პრთხმად

1. აცხადებს განაცხადს დასაშვებად.

2. ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლის როგორც არსებითი, ასევე პროცედურული მხარეები; და

3. ადგენს:

(a) კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საბოლოო გადაწყვეტილების მიღების დღიდან სამი თვის ვადაში, მოპასუხე სახელმწიფომ განმცხადებელს უნდა გადაუხადოს:

(i) მიყენებული არამატერიალური ზიანისათვის 15,000 (თხუთმეტი ათასი) ევრო და ამას გარდა ნებისმიერი გადასახადი, რომლითაც შეიძლება დაიბეგროს ეს თანხა; და

(ii) სასამართლოს ხარჯებისა და დანახარჯებისათვის გაღებული 1,500 (ათას ხუთასი) ევრო და ამას გარდა ნებისმიერი გადასახადი, რომლითაც შეიძლება დაიბეგროს ეს თანხა, ორივე თანხის გადახდა უნდა მოხდეს მოლდოვურ ლეიში, გადახდის დღეს არსებული კურსით.

(b) ზემოხსენებული სამთვიანი ვადის გასვლის შემდეგ თანხის გადახდის დღემდე, აღნიშნულ თანხას დაემატება საურავი იმ მოცულობით, რაც უტოლდება ევროპული ბანკის სესხისთვის განკუთვნილ მინიმალურ პროცენტს, რომელსაც უნდა დაემატოს სამპროცენტიანი განაკვეთი.

შესრულებულია ინგლისურ ენაზე და გაცხადებულია წერილობით 2010 წლის 6 დეკემბერს, სასამართლოს რეგლამენტის 77-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად.

სანტიაგო კვესტადა
რეგისტრატორი

ჟოზეფ კასადევალი
თავმჯდომარე

